გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 96
(11 450)

5 – 7 დეკემბერი, 2000 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ირაკლი მეძმარიაშვილი ღრმად იხედება ქართული სპორტის პრობლემებში და გაოცებული რჩება...

ვიზიტი კლუბში

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ახალდანიშნული თავმჯდომარის ირაკლი მეძმარიაშვილის პირველი სამუშაო კვირა წარმოუდგენლად დატვირთული გამოდგა. ეს თავად „გაირთულა ცხოვრება“, – თბილ კაბინეტში ჯდომას, ცივ დარბაზში ფედერაციების ყრილობებზე დასწრება ამჯობინა. ასეთი შანსი სხვა დროს, ყოველ შემთხვევაში, კიდევ ოთხ წელიწადში არ მიეცემოდა, ახლა ერთი მეორის მიყოლებით გამართული ფედერაციების ყრილობები კი შესანიშნავ შესაძლებლობას იძლევა, პირადად, სიღრმისეულად ჩაიხედო სპორტის ამა თუ იმ სახეობის პრობლემებში, მოუსმინო „სარდლებსაც“ და „რიგით ჯარისკაცებსაც“. მოკლედ, სპორტის ახალი თავკაცი აქტიურად ჩაერთო საქმეში და ალბათ, იმაზე მეტი პრობლემებიც დაინახა, ვიდრე წარმოიდგენდა.

გასული კვირა შეხვედრებითაც დატვირთული გამოდგა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი, ალბათ, მაინც, თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბში სტუმრობა იყო გასულ შაბათს.

„ჩემს მოსვლას თქვენთან ორი მიზანი აქვს: ერთი – ახლოს გავეცნო კლუბის ცხოვრებას თავისი პრობლემებით და მეორე – მხარდაჭერა გამოვხატო იმ სიახლის გამო, რაც „დინამოს“ გუნდის უფროსმა მწვრთნელმა რეზო არველაძემ წამოაყენა ამ საფეხბურთო კლუბის მომავალ ბედთან დაკავშირებით“ – განაცხადა „დინამოს“ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე შეკრებილთა წინაშე ირაკლი მეძმარიაშვილმა.

ქართული სპორტის ახალი შეფი დინამოელთა პრობლემებს ჟურნალისტთა კორპუსის თანხლებით გაეცნო, რაც უდავოდ მისასალმებელია, მასმედიის წარმომადგენლებს ყოველთვის როდი მიუწვდებათ ხელი თავად იხილონ და უშუალოდ მოუსმინონ ყველაზე მწვავე პრობლემებზე მოსაუბრე გულანთებულ ადამიანებს.

პირდაპირ გეტყვით: ის, რაც ვნახეთ და მოვისმინეთ, ცოტა არ იყოს, ძნელი დასაჯერებელი იქნებოდა, ვინმესგან გადმოცემით რომ შეგვეტყო. არადა, მართლაც ძნელია ირწმუნო, რომ ქვეყნის უპირველესი და ეროვნული ნაკრების საბაზისო კლუბში წლობით ნაგროვები პრობლემები, როგორც იტყვიან, თავსაყრელი ყოფილა. არ გინდა დაიჯერო, რომ ამდენ ხანს ეს კლუბი მავანთა ხელისმოსათბობი უფრო ყოფილა, ვიდრე საზრუნავი. ბაზის ხელმძღვანელები და თანამშრომლები, აშკარად ეტყობა, დღე და ღამეს ასწორებენ, რომ იქაურობას გარეგნული იერსახე მაინც შეუნარჩუნონ, ცხადია, ხელმიშვებული მათი მხრიდან არც კომუნიკაციებია, მაგრამ როგორ გინდა გამძლეობა შეუნარჩუნო უკვე დაჟანგებულ და გაცრეცილ წყალგაყვანილობას თუ ელექტროსისტემას, დარბაზში უფრო ცივა, ვიდრე გარეთ, დარბაზში კი ჭერიდან წყალი ჩამოდის, ამ დარბაზში, ოი, საკვირველებავ, ისეთი სატრენაჟორო დანადგარი ვიხილეთ, 35 წლის წინანდელი დინამოელთა თაობა რომ იყენებდა სავარჯიშოდ. უკვე ჯართად ქცეულ ამ აუცილებელი ინვენტარის შეცვლაზეც არავის უფიქრია, ცხადია, გასაცოდავებულად გამოიყურება სათადარიგო მოედნები. აუტანელია ფეხბურთელთა ყოფა. არ არის ცხელი წყალი, ელექტროენერგიასაც ისეთი გრაფიკით იღებენ, როგორც მიკრორაიონის მოსახლეობა. კლუბს ყელში აქვს წაჭერილი კომუნალური დავალიანების მარწუხები. ახლახან გაზი კი გაუყვანიათ, მაგრამ ეს სულაც არ არის საკმარისი პრობლემების მოსაგვარებლად. ერთადერთი, ვინც შეძლებისდაგვარად, ფინანსურად მხარში უდგას კლუბს, როგორც რეზო არველაძემ განაცხადა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაა.

ფეხბურთელები თურმე პიჟამო-

იხ. მე–3 გვ.



ევროპაში გაიმართა ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები

5

ქართული ფეხბურთი ახალ საუკუნეში ახალი ლიდერით შეაბიჯებს. თუ აქამდე მის ავანგარდში მრავალნაცადი თბილისის „დინამო“ და ქუთაისის „ტორპედო“ მოიაზრებოდა, ამჟამად იერარქიული კიბის სათავეში რკინიგზელთა კლუბი მოექცა.

3

## რაგბის თბილისური დერბი

დღეს, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩია: თბილისის „ლოკომოტივი“ – თბილისის „ყოჩები“. დასაწყისი 15 საათზე.



## მოგონებები „აილამაზე“

### საქართველოში, რომელიც საბჭოთა ალპინიზმის ფუძემდებელი იყო, სპორტის ეს სახეობა უპატრონოდ დარჩა, „აილამა“ მოგონებად იქცა



ალბათ, ვერავინ ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ საქართველო, რომელიც საბჭოთა ალპინიზმის აკვნად ითვლებოდა, სპორტის ამ მამაცურ სახეობას, როდესმე ცხოვრებიდან გარიყავდა. საქმე იქამდე დავიდა, რომ მხოლოდ ერთეული მთამსვლელები თუ შემორჩნენ საქართველოში, რომლებიც, ასე თუ ისე, ტრადიციებს აგრძელებენ, ალპინისტთა მომავალი თაობის აღზრდა კი თითქოსდა ბედის ანაბარად არის მიშვებული. საერთო შთაბეჭდილება ასეთია. დღესაც ბევრი გაიხსენებს მასობრივ ასვლებს მწვერვალებზე – სტუდენტებისა და მოსწავლეთა ალპინიადებს, მასობრივ შეჯიბრებებს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. უამრავი სტუმარი ჩამოდიოდა უცხოეთიდან.

საქართველო მთიანი ქვეყანაა და ალპინიზმი ჩვენთვის მხოლოდ სპორტის სახეობა როდია, მას უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, მით უფრო, როცა დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ და ჩვენი საზღვრები მეზობელ ქვეყნებთან სწორედ მაღალმთიან ზონაში გადის. ყველამ კარგად იცის იმ უდიდესი წვლილის შესახებ, რაც ქართველმა ალპინისტებმა და მთამსვლელობაში გაწვრთნილმა მეომრებმა შეიტანეს გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში კავკასიის დაცვისას.

საბჭოთა წლებში საქართველო და მისი ალპინისტური ბაზები ყველაზე

იხ. მე–2 გვ.



## შარშანდელი ჩემპიონი მესამე ადგილს დასჯერდა

ბრაზილიის ქ. სან-პაულოში სუმოში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში საქართველოდან ორი ათლეტი – ხვიჩა ქობალია (100 კგ) და შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი ლევან ებანოიძე (მძიმე) მონაწილეობდა. ჩვენმა მძიმეწონოსანმა ამჯერად უფრო მოკრძალებული შედეგი აჩვენა – იგი მესამე იყო აბსოლუტურ წონით კატეგორიაში *(სურათზე: ლევან ებანოიძე)*.

**გაზეთის დაბეჭდვის წინ:** ინგლისის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ყოფილი თავკაცი – ტერი ვენეიბლსი დაინიშნა ინგლისის პრემიერლიგის აუტსაიდერ „მიდლსბროს“ მთავარ მწვრთნელად.



პროფესიონალთა ფედერაციის IBF-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი გახდა [illegible]



7

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

## მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 8 თვე დარჩა

...სიდნეის ოლიმპიადამ დაადასტურა, რომ ამოუწურავია საქართველოს სპორტული პოტენციალი: ყოველ სოფელში და, რა თქმა უნდა, ქალაქში მოიძებნება ნამდვილად ჭეშმარიტი ტალანტი.

ე. შევარდნაძე

## მოგონებები „აილამაზე“

(პირველი გვერდიდან)

თვალსაჩინო ცენტრი იყო არა მხოლოდ მთამსვლელთა, არამედ ინსტრუქტორთა კადრების მომზადებაში.

1964 წელს ლენტეხში, უშგულთან ახლოს, გაიხსნა მთელ საბჭოეთში ყველაზე თვალსაჩინო კერა – ალპინისტური ბანაკი „აილამა“. მაშინ იქ „სამთო ქიმია“ ეწეოდა მინერალური მადნის მოპოვებას და სწორედ მათ მიერ აშენებული შენობები გადაკეთდა ალპინისტურ ბანაკად, რომელსაც დიდხანს ედგა სათავეში უბადლო ალპინისტი და ორგანიზატორი, მთამსვლელთა კადრების შესანიშნავი აღმზრდელი ჯოკია გუგავა.

ავბედით 1993 წელს, როცა აფხაზეთიდან ლტოლვილთა ლაშქარი სვანეთის გავლით დაიძრა, პირველი თავშესაფარი სწორედ „აილამა“ იყო. მაშინ განადგურდა ყველაფერი, შენობების კარ-ფანჯრებიც კი გასათბობად გამოიყენეს ლტოლვილმა მოსახლეობამ თუ სამხედრო შენაერთების მეომრებმა. ამ ალპინისტური ბანაკის მეპატრონემ, პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენმა“ არაერთხელ დასვა ბაზის აღდგენის საკითხი, მაგრამ ამაოდ, თხოვნა ყურად არავინ იღო, ნაგებობები თავისი ქონებით, იძულებით ჩამოიწერა.

ზღვის დონიდან 2400 მეტრზე მდებარე „აილამა“ ადრე ალპინისტთა და ტურისტთა ნაკადს ვერ აუდიოდა. ეწყობოდა შეკრებები, სასწავლო ასვლები, ტურისტებს კი ემსახურებოდნენ მაღალკვალიფიციური ინსტრუქტორები. სხვათა შორის, „აილამა“ ერთადერთი კომპლექსი იყო მთელ ამიერკავკასიაში, რომელიც არა მხოლოდ ადგილობრივ, საერთოდ, სსრ კავშირის მასშტაბით ალპინიზმის ინსტრუქტორებს და თანრიგოსნებს ამზადებდა. ერთი წუთით თავი გავანებოთ სპორტულ და ტურისტულ ინტერესებს. განა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ ქვეყანას, აქვს უფლება არ იზრუნოს „აილამას“ აღდგენაზე თუნდაც ქვეყნის თავდაცვითუნარიანობის განმტკიცების თვალსაზრისით? დაუმატეთ ამას საგანგებო, ექსტრემალური ვითარებები, რომლისგან არც ერთი ქვეყანა არაა დაზღვეული, მით უმეტეს, ვიმეორებთ, ჩვენ მთის მასივების ქვეყანაში ვცხოვრობთ.

დღევანდელი პუბლიკაციის მიზანია ხელისუფლებისა და მთელი საზოგადოებრიობის ყურადღება მიაპყროს ზემოხსენებულ პრობლემებს. მით უფრო, რომ ამ რამდენიმე თვის წინათ, მიღებულია ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოში სამთო ტურიზმისა და ალპინიზმის განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებათა შესახებ“.

„ლელო“ სისტემატურად დაუბრუნდება ამ თემას. ვთხოვთ ყველას, ვისაც გულთან ახლოს მიაქვს ქართული ალპინიზმისა და სამთო ტურიზმის პრობლემები, გამოგვეხმაურონ.

„ლელოს“ რედაქცია

## ცხენოსნებმა და ხუთჭიდელებმა პრეზიდენტი შეინარჩუნეს

თენგიზ აბულაძე ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ის პრეზიდენტი გამოდგა, რომელმაც გულთან ახლოს მიიტანა სპორტის ამ სახეობების პრობლემები და დღეს საქართველოში თუ მხედრებს, საცხენოსნო კლუბებს და ცხენების მეპატრონეებს სტიმული შემორჩათ, ეს მისი დამსახურებაა. ორი წელიწადია ფედერაციას ცხენოსნობისთვის ერთი თეთრიც არ მიუღია ბიუჯეტიდან, შეჯიბრებები მხოლოდ შემოწირულობებით ტარდება. თენგიზ აბულაძის უშუალო ხელშეწყობით ჩვენი ფედერაცია პირველად გაწევრიანდა საერთაშორისო ფედერაციაში, ასევე პირველად მიიღეს ჩვენმა მხედრებმა მონაწილეობა საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც წლეულს გაიმართა ერევანში. სამომავლოდ, ასეთი აპარეზობა საქართველოში თბილისში ან ფოთში იგეგმება.

ფედერაციის ყრილობაზე მისი ხელმძღვანელობა ნამდვილად პირნათელი წარსდგა და სულაც არ იყო გასაკვირი, რომ დელეგატებმა ერთხმად კვლავ თენგიზ აბულაძე აირჩიეს პრეზიდენტად. გამგეობა გადახალისდა. ვიცე-პრეზიდენტებად აირჩიეს ბაქარ გაჩეჩილაძე, ლადო კვარაცხელია და რევაზ მანჯავიძე, გენერალურ მდივნად – ივანე ყურუა.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი.




## თასი „კოლეჯსა“ და „ლოკომოტივს“

ბათუმის „დინამოს“ ხელოვნურსაფარიან მოედანზე საქართველოს ჰოკეის ასოციაციის ეგიდით ჩატარდა საქართველოს თასის ფინალური მატჩები ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის ბალახის ჰოკეიში. ბათუმის „კოლეჯისა“ და ქუთაისის სპორტსკოლის ქალთა გუნდების შეხვედრის პირველი ნახევარი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, მე-20 წუთზე მეგი ურუშაძემ ზუსტი დარტყმით წინ გაიყვანა „კოლეჯი“ – 1:0. ორიოდე წუთში კი ანჟელა ძნელაძემ გაათანაბრა ანგარიში – 1:1. ასეთი იყო პირველი ნახევრის შედეგი.

შესვენების შემდეგ ინიციატივას „კოლეჯის“ გოგოები დაეუფლნენ. ნინო დევაძემ, მეგი ურუშაძემ და ნინო ფცქიალაძემ ზედიზედ თითო გოლი გაიტანეს. 4:1 გაიმარჯვა ბათუმის „კოლეჯმა“.

ვაჟებშიც ბათუმელი და ქუთაისელი ჰოკეისტები დადგნენ პირისპირ. ძირითადმა და დამატებითმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. – ორივე „ლოკომოტივის“ კარში თითო ბურთი გავიდა.

პენალტების სერიაში უფრო ზუსტნი ბათუმელები იყვნენ – 4:2 (ამ წარმატებაში დიდია მეკარე შოთა ქუქჩიშვილის წვლილი, რომელმაც სამი პენალტი მოიგერია).

ამრიგად, ბათუმის „კოლეჯმა“ ზედიზედ სამჯერ მოიპოვა ქალთა შორის საქართველოს თასი, ხოლო ბათუმის „ლოკომოტივმა“ პირველად დაისაკუთრა ეს საპატიო ჯილდო (გუნდები შეჯიბრებისათვის მოამზადეს მწვრთნელებმა ნიკოლოზ ბარამიძემ და ნოდარ შანიძემ).

ახლა აჭარაში ბალახის ჰოკეი აღმავლობის გზაზეა, რაშიაც დიდია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბალახის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტის ნოდარ თამაზაშვილის და რკინიგზის ბათუმის ტერიტორიული სამმართველოს უფროსის ნუგზარ ვარშანიძის დამსახურება.

გამარჯვებულ გუნდებს საზეიმო შეხვედრა გაუმართეს აჭარის კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროში (მინისტრი ნოდარ თამაზაშვილი). თითოეულ სპორტსმენს საჩუქრად გადაეცა უცხოური მაჯის საათი და 100 ლარი.

ოთარ მურვანიძე,
გაზეთ „ლელოს“ საკ. კორ. აჭარაში

*სურათზე: ჰოკეიში საქართველოს თასის მფლობელი ბათუმის ქალთა გუნდი „კოლეჯი“.*

## 50 წლის წინათ...

***რუსთავი.*** აქ გაიხსნა ქალაქის საჭადრაკო კლუბი.

***სამბო.*** მინსკში გამართულ დინამოელ სამბისტთა პირველობაში უძლიერესის სახელი მოიპოვეს ნ.მუზაშვილმა, ე. ქარქუსაშვილმა, შ. დაუშვილმა და ო. შინჯიკაშვილმა.

***ბათუმი.*** აჭარის თასი ფეხბურთში მოიგო ბათუმის პირველმა გუნდმა, რომელმაც ამავე ქალაქის მეორე გუნდს სძლია 4-1.

***ხაშური.*** ქართულ ჭიდაობაში რაიონის პირველობაზე ყველას აჯობეს სოფ. ოსიაურის ფალავნებმა.

***ტანვარჯიში.*** რიგაში გამართულ „სპარტაკის“ საკავშირო შეჯიბრებაში ტანვარჯიშში სამ იარაღზე (ღერძი, რგოლები, ტაიჭი) პირველობა მოიპოვა ქუთაისელმა სპორტის ოსტატმა ა. ალფაიძემ).

***სტალინირი.*** ძალოსნობაში სპარტაკის რესპუბლიკური საბჭოს პირველობაში აქ თავიანთ წონებში გამარჯვება მოიპოვეს ცქიფურიძემ (სტალინირი), ავეტისიანმა (სოხუმი), ხუბაშვილმა (თბილისი), ბაიბურსკიმ (ახალციხე), არუთინიანმა (სოხუმი) და ცერაძემ (სტალინირი). გუნდური პირველობა მოიგეს მასპინძლებმა.

# კიოკუშინ კარატე სპორტის აკადემიისა და, საერთოდ, ქართული სპორტის ოჯახში

ნოემბერში „ფალავანთა კლუბმა“ მესამედ უმასპინძლა სხვადასხვა დონის შეჯიბრებებს კიოკუშინ კარატეში. ჯერ საქართველოს პირველობა ჩატარდა ბავშვთა და მოზარდთა შორის, შემდგომ საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონატი, ამჯერად კი საქართველოს კიოკუშინ კარატეს ფედერაციამ (პრეზიდენტი – ავთანდილ შენგელია) საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ჭიდაობის კათედრასთან (გამგე, დოცენტი – გურამ რატიშვილი) და სპორტულ კლუბთან ერთად (თავმჯდომარე – ჰამლეტ ათაბეგოვი), აკადემიის ჩემპიონატი ჩაატარეს. სტუდენტური პირველობა ტრადიციად იქცა. 1999 წელს აკადემიის ღია პირველობა ჩატარდა, სადაც საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად ერევნის ფიზკულტურის ინსტიტუტიც მონაწილეობდა. წლეულს კი „სტუდენტური დღეების“ პროგრამით ერთადერთი საერთაშორისო ტურნირი „კავკასიის თასი – 2000“-ის გათამაშება იყო აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდების მონაწილეობით. ჩვენი სტუდენტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ „კავკასიის თასი“ მათ შინ „დაიტოვეს“. ამ წამოწყების ერთი მხარდამჭერი ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტთან ერთად (თავმჯდომარე – ზურაბ გაიპარაშვილი) იყო პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, რომელიც შეჯიბრებებს ესწრებოდა და გამარჯვებულიც დააჯილდოვა. ზემოთ ხსენებული ღონისძიებების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო სპორტის აკადემიის ჭიდაობის კათედრის კარატეს სპეციალობის მასწავლებელი, საქართველოს კიოკუშინ კარატეს ფედერაციის გენერალური მდივანი ირაკლი დოლაბერიძე, რომელმაც 1998 წ-ს დაამთავრა სასწავლებელი. ჯერ კიდევ სტუდენტობისას, აკადემიამ, რექტორის, ომარ გოგიაშვილის ხელშეწყობით იგი კარატეს საერთაშორისო სემინარზე მიავლინა უნგრეთში, სადაც მას შავი ქამარი – I დანი მიანიჭეს. ახლა იგი უკვე შავი ქამრის – II დანის მფლობელია.

ახლა, კონკრეტულად შეჯიბრების შესახებ, რომელიც სხვადასხვა საბრძოლო ხელოვნებათა სპორტსმენების მონაწილეობით გამრავალფეროვანდა. კიოკუშინ კარატეს წესებით, რომელიც კონტაქტურობით გამოირჩევა, ასპარეზობდნენ შიტორიუს, შოტოკანის, ტაეკვანდოს კიქბოქსინგისა და სხვა აღმოსავლური ორთაბრძოლების წარმომადგენლები. გაგაცნობთ გამარჯვებულებს: 1. მირიან ავდალოვი (III კურსი), 2. ნიკოლოზ ყავლაშვილი, 3. კახა ყავლაშვილი და იოსებ ახალკაცი (სამივე – II კურსი).

სარბიელზე ერთადერთი გოგონაც ვიხილეთ საჩვენებელი გამოსვლით. ეს იყო პირველკურსელი სვეტლანა მარტიროსიანი. გამარჯვებულები დიპლომებით, მედლებით, ფასიანი საჩუქრებით და ახალი ალთქმის წიგნებით დაჯილდოვდნენ. დაკომპლექტდა სპორტის აკადემიის ნაკრები, რომელიც საერთაშორისო ტურნირის – „კავკასიის თასი-2001“-სთვის მოემზადება. ტურნირი აპრილში გაიმართება ჩვენს დედაქალაქში.

სპორტის აკადემიის
მწვრთნელთა ფაკულტეტის
ჭიდაობის კათედრის სტუდენტები.


შეჯიბრის ერთადერთი მონაწილე ქალი





## წოდების მინიჭება

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის დანერგვა-განვითარებისა და ახალგაზრდა თაობის ფიზიკურ აღზრდაში შეტანილი დიდი პირადი წვლილისათვის „საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის“ წოდება მიანიჭა:

***ბიჭიკო პაპაშვილს*** – ს/ს „შევარდენის“ ბერძნულ-რომაული ჭიდაობის რესპუბლიკური ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის უფროს მწვრთნელს, საქართველოს იუნიორთა ნაკრები გუნდის მწვრთნელს;

***ნოდარ მელიქიძეს*** – თბილისის ოლიმპიური რეზერვის სასწავლებლის ძიუდოს განყოფილების მწვრთნელ-მასწავლებელს.

# ქართული ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი

## საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში — უმაღლესი ლიგა — XVII ტური

**ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი**
**დინამო (თბილისი) -- ლოკომოტივი (თბილისი) 0-1**

**დინამო:** გრიშიკაშვილი, ქემოკლიძე, ვაშაკიძე, ა. სახვაძე, შაშიაშვილი, ზამთარაძე (მიქაძე, 82), დათვაძე (მაზიაშვილი, 70), სიჭინავა, გადელია, ზირაქიშვილი, ჯინჭარაძე.
**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ლევან სილაგაძე, აბრამიძე, თოდუა, გილაური, გ. კვარაცხელია, ჭიჭვეიშვილი, გოგიჩაიშვილი (გონჩაროვი, 57), გ. შენგელია (ხუროძე, 69), რუსია (პარამონოვი, 58).
**გოლი:** ჭიჭვეიშვილი (76)
**გააფრთხილეს:** ქემოკლიძე (30), გილაური (57), გადელია (79), ხუროძე (89).
**მსაჯი:** მერაბ მალალურაძე (თბილისი).

## „ლოკომოტივი" შემოდგომის ჩემპიონია

მეოცე საუკუნეში ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურში ეროვნულ სტადიონზე ფრიად მნიშვნელოვანი მატჩი გაიმართა: ორი ლიდერი შეერკინა ერთმანეთს. თქმა არ უნდა, თუ რაოდენ განსაკუთრებულ ელფერს იძენდა კვირას გამართული თბილისური დერბი მოასპარეზეებისთვის. გაიმარჯვებდა „დინამო" და მეტოქეს ქულებით გაუთანაბრდებოდა. მოიგებდა „ლოკომოტივი" და ოცდამეერთე საუკუნეში ეროვნული ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერის სტატუსით შეაბიჯებდა.

მატჩი ისე წარიმართა, ნათელი იყო, გამარჯვებულს ცხარე პაექრობა გამოავლენდა. უნდა აღინიშნოს, რომ შეხვედრა თავიდანვე კორექტულად წარიმართა. ყვითელი ბარათების სიმრავლე კი სათამაშო ეპიზოდებით იყო განპირობებული. მატჩის შემდეგ შეხვედრის მონაწილეებმა და მსაჯებმა ერთმანეთს მადლობა გადაუხადეს ასპარეზობის მაღალ დონეზე ჩატარებისთვის, რაც მისასალმებელი ფაქტია.

თანაბარი კლასის მეტოქეთა ჭიდილში გამარჯვებული მოთამაშეთა ინდივიდუალურმა ოსტატობამ გამოავლინა. ასეთი ოსტატი „ლოკომოტივის" შემადგენლობაში აღმოჩნდა. ჭიჭვეიშვილმა პარამონოვის თავით გადაწოდებული პასი მიიღო, საჯარიმოში სწრაფი დრიბლინგით რამდენიმე მცველი ჩამოიშორა და კარისკენ ძლიერად დაარტყა. გრიშიკაშვილის მცდელობა, ბურთს დაუფლებოდა, ამაო გამოდგა. „ლოკომოტივი" დაწინაურდა და მიუხედავად დინამოელთა ბევრი ცდისა, მინიმალური უპირატესობა თამაშის ბოლომდე შეინარჩუნა. რკინიგზელებმა „დინამოს" ჩემპიონატის პირველი ეტაპის ორივე მატჩი მოუგეს [illegible] გუნდებს [illegible] ერთმანეთისგან. „ლოკომოტივი" შემოდგომის ჩემპიონია და ახალ საუკუნეში მეთორმეტე ჩემპიონატის განახლებას ერთპიროვნული ლიდერის რანგში დაელოდება.

**მიხეილ საბახტარიშვილი**


დინამო (თბ) — ლოკომოტივი (თბ)

## სატურნირო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტ. | 17 | 14 | 1 | 2 | 32-7 | 43 |
| ტორპედო | 17 | 12 | 3 | 2 | 28-6 | 39 |
| დინამო(თბ) | 17 | 12 | 1 | 4 | 43-17 | 37 |
| ვიტ ჯორჯია | 17 | 9 | 5 | 3 | 26-12 | 32 |
| კოლხ-1913 | 17 | 8 | 3 | 6 | 19-14 | 27 |
| მერანი-91 | 17 | 6 | 6 | 5 | 17-17 | 24 |
| დინამო(ბთ.) | 17 | 6 | 3 | 8 | 22-24 | 21 |
| გორდა | 17 | 3 | 7 | 7 | 13-22 | 16 |
| სიონი | 17 | 4 | 4 | 8 | 12-27 | 16 |
| დილა | 17 | 4 | 3 | 10 | 13-32 | 15 |
| თსუ | 17 | 4 | 2 | 11 | 17-32 | 14 |
| იბერია | 17 | 0 | 2 | 15 | 3-35 | 2 |

*ჩემპიონატში გამოცხადდა შესვენება. მორიგი, XVIII ტური 28 თებერვალს გაიმართება.*

### ჩემპიონატის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| განვლილი ტური | 17 |
| მატჩი | 101 |
| გოლი | 242 |
| გოლი საშუალოდ ერთ მატჩში | 2,39 |
| მასპინძელთა მოგება | 50 |
| ფრე | 20 |
| სტუმართა მოგება | 31 |

### ბომბარდირები:

რობერტ ზირაქიშვილი, „დინამო" თბ – 10
დავით გოდერძიშვილი, „მერანი-91" – 9
ზურაბ იონანიძე, „ტორპედო" – 9


რობერტ ზირაქიშვილი

## ირაკლი მეძმარიაშვილი ღრმად იხედება ქართული სპორტის პრობლემებში და გაოცებული რჩება...

*პირველი გვერდიდან*

თი, ქუდებით და წინდებით წვებიან დასაძინებლად, შინ მათი გაშვებაც უაზრობაა, რადგან ფეხბურთელებს, ისევე, როგორც, საერთოდ რიგით თბილისელებს, არც სითბო აქვს საკუთარ ჭერქვეშ, არც განათება.

რა შეუძლია ასეთ დროს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს თავისი უმწირესი დაფინანსებით? რა თქმა უნდა, არაფერი, გარდა მორალური და ორგანიზაციული თანადგომისა პრობლემების მოგვარებაში, რაც აღუთქვა კიდეც მასპინძლებს ირაკლი მეძმარიაშვილმა.

„ამ ეტაპზე ელექტროენერგიის მუდმივი წყაროსა და კომუნალური ხარჯების დროებით გაყინვა-გადავადების საკითხია მოსაგვარებელი" – თქვა რეზო არველაძემ. მაგრამ წავლენ კი ამ დათმობაზე? უნდა წავიდნენ, რადგან შეუძლებელია ასეთ ყოფაში დინამოელ ფეხბურთელთა დატოვება მუდმივი დენის მიწოდებაში, როგორც ითქვა, გადამწყვეტი სიტყვა მეტრომშენს და მის ხელმძღვანელობას ეკუთვნის, კომუნალური დავალიანების გადავადებაში – თბილისის მერიას. ეს დროებით, მერე კი, როცა რეზო არველაძის შემოთავაზებული სიახლე იურიდიულად დაკანონდება, პრობლემები თავისთავად მოიხსნება.

აი, ასეთი მძიმე სურათი დაგვხდა იმ დღეს „დინამოს" დიღმის საწვრთნელ ბაზაზე...

**თ. თომაშვილი**

## საქართველოს თასი
## მეოთხედფინალური მატჩები (6-10 დეკემბერი)

*მატჩების დასაწყისი — 14 სთ*



სამგურალი (წყალტ.) – ლოკომოტივი (თბ.).
მთ. მსაჯი: ა.ორდინიძე (ონი).
დილა (გორი) – მერანი-91 (თბ.). მთ. მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი).
კოლხეთი-1913 (ფ.) – ტორპედო (ქუთ.). მთ. მსაჯი: დ. სანაია (სოხუმი).
დინამო (თბ.) – ვიტ ჯორჯია (თბ.). მთ. მსაჯი: ა.შალამბერიძე (ქუთაისი).

## ტექნიკური შედეგები

### დინამო (ბათუმი) – ვიტ ჯორჯია (თბილისი) 1-1

*დინამო (ბთ):* ბედიაშვილი, გველესიანი, მინდაძე, პაპიძე, მჟავანაძე, გელა ქორიძე, ლლონტი, დარჩიძე, ყულეჯიშვილი, აფხაზავა (ბეჟანიძე, 87), ა. მუჯირი.
*ვიტ ჯორჯია:* მერლანი, საჯაია, ჭანკოტაძე, კობიაშვილი, ჯ. მუჯირი (დოლიძე, 46), დიღმელაშვილი, ლ. ნოზაძე, დეკანოსიძე (ვ. გოჩაშვილი, 38), გიორგი ქორიძე, ყიფიანი (სულთანიშვილი, 73), ლ. მელქაძე.
*გოლები:* 1-0 მუჯირი (58 პენ.), 1-1 კობიაშვილი, (83).
*გააფრთხილეს:* მელქაძე, დოლიძე, კობიაშვილი, ა. მუჯირი.
*მსაჯი:* ლევან ფანიაშვილი (თბილისი).

### ტორპედო (ქუთაისი) – დილა (გორი) 5-0

*ტორპედო:* ზოიძე, თურმანიძე (თავბერიძე, 73), ახვლედიანი (მ. ბობოხიძე, 60), ხვადაგიანი, ზ. არჩვაძე, გაბიდაური, ქ. კვეტენაძე (შალამბერიძე, 28), ზამსაშვილი, ასათიანი, იონანიძე, დ. ჯანაშია.
*დილა:* თ. ილურიძე, აკოფიანი (მ. ბურნაძე, 82), გრიგალაშვილი, ლ. გოჩაშვილი, გაგნიძე, საყვარელიძე, ლომიძე, რევაზიშვილი, ფეზუაშვილი, ხორგუაშვილი (ხოხობაშვილი, 67), ეჯოშვილი (ხაჩირაშვილი, 86).
*გოლები:* გაბიდაური (40, 53), იონანიძე (42), ჯანაშია (67, 85 პენ)
*გააფრთხილეს:* ზამსაშვილი, ჯანაშია, ფეზუაშვილი.
*მსაჯი:* ა. კრიჭაშვილი (თბილისი).

### თსუ – მერანი-91 (თბილისი) 0-1

*თსუ:* მამარდაშვილი, ზვიად ლაბაძე, ხარებავა, არეშიძე, გოცირიძე, ადამია (ა. ბოკერია, 74), წუწუნავა, ახალაძე, მესხი (ვადაჭკორია, 18, ბ. ნოზაძე, 46), ერაძე, კვიციანი.
*მერანი-91:* დევაძე, ბაჯელიძე (თოლორდავა, 87), გუჯაბიძე, ცქიფურიშვილი, დევიძე, კობესაშვილი, ბოლქვაძე (კოშკაძე, 76), დ. გოდერძიშვილი, როსტიაშვილი (კაკუბავა, 60), ჭინჭარაული, მინაშვილი.
*გოლი:* როსტიაშვილი (25).
*გააფრთხილეს:* ბოკერია, არეშიძე, ახალაძე, როსტიაშვილი, მინაშვილი.
*მსაჯი:* სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი).

### გორდა (რუსთავი) – იბერია (სამტრედია) 0-0

*გორდა:* ნიკურაძე, გაბელაია, ბურნაძე, ბექაური, ლაშა სილაგაძე, ზურაბ ლაბაძე (მიშველიძე, 46), მელაძე, კიტეიშვილი (მ. სახვაძე, 77), ჯელაძე, ივეჩიანი (კაპანაძე, 61), კ. ალადაშვილი.
*იბერია:* ვარდენიძე, გ. ნოზაძე, მიქელთაძე, გიორგაძე, ლ. ხმალაძე, ონიანი, ყურაშვილი, ზ. მეტრეველი (ჩიმაკაძე, 90), გიგიაძე, ბიწაძე, მუმლაძე.
*გააფრთხილეს:* ყურაშვილი, ბურნაძე.
*მსაჯი:* კ. მესხი (ზუგდიდი).

### სიონი (ბოლნისი) – კოლხეთი-1913 (ფოთი) 0-4

*სიონი:* ვოლკოვი, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, კ. გოდერძიშვილი, მინდიაშვილი, მ. გოგოლაძე (ისიანი, 59), მოსეშვილი, გამცემლიძე (დიმიტრიშვილი, 46), სოლოღაშვილი, კ. მეტრეველი, წიწვიძე (მ. სამხარაძე, 70).
*კოლხეთი-1913:* მ. გვასალია, ქუნთელია, ტორჩინავა, პაპავა, ახალკაცი, ჭანტურიძე, ხუჭუა (შავგულიძე, 75), კვირკველია, გოგიაშვილი, ე. გვასალია, ლალანიძე.
*გოლები:* ე. გვასალია (45, 74), გოგიაშვილი (63), ჭანტურიძე (86).
*გააფრთხილეს:* ირემაშვილი, ასპინძელაშვილი, მოსეშვილი, ტორჩინავა, ე. გვასალია, გოგიაშვილი.
*მსაჯი:* პაატა დოგრაშვილი (ქუთაისი).

## ევროპაში მოვლენები სასიკეთოდ ვითარდება, მათ შორის, ქართველებისთვის

ქართველი ფეხბურთელებისთვისაც მეტად საგულისხმო გადაწყვეტილება მიიღო იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ, რომელმაც ევროკავშირელის სტატუსი მიანიჭა „მილანის" ფორვარდს, უკრაინელ ანდრეი შევჩენკოს. ამ ფეხბურთელმა შარშანდელ სეზონში 24 გოლი გაიტანა და მიუხედავად ამისა, ყველგან აცხადებდა, რომ იტალიაში მეორეხარისხოვან ადამიანად გრძნობდა თავს: „ამიხსენით, ერთი, რატომ უნდა ვითვლებოდეთ მე, ბობანი, ანდა, ვთქვათ, კორნეევი უცხოელებად, როცა არაევროკავშირელი თურქები თავს ევროპელებად ასაღებენ. რა, უკრაინელი, რუსი იმის ღირსი არ არის, რომ თანაბარი უფლებებით სარგებლობდეს სხვებთან?"

მკითხველს შევახსენებთ, რომ წინა კვირას ესპანეთის დედაქალაქის ერთ-ერთმა სასამართლომ დააკმაყოფილა „სელტას" რუსი ფეხბურთელის ვალერი კარპინის ანალოგიური სარჩელიც, ასე რომ, საქმე იქითკენ მიდის, მოწინავე საფეხბურთო ქვეყნებში, ალბათ, მოიხსნება დისკრიმინაციული შეზღუდვები არაევროკავშირელი მოთამაშეების მიმართ. ეს პოზიტიური პროცესები უფრო ადრე რომ დაწყებულიყო, ჩვენი თანამემამულე კახი კალაძე კარგა ხანია „მილანში" გადასული იქნებოდა.

# ჯერ არდადეგებზე, მერე ბაკურიანში

**სათასო მატჩების დამთავრების შემდეგ საზობაო არდადეგები გამოცხადდება, თუმცა მსაჯთა კორპუსის მუშაობა ამით არ ამოიწურება. დაგეგმილია რამდენიმე ღონისძიება, რომელთა შესახებ გავესაუბრეთ სფფ-ს სამსაჯო — საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ოთარ გუნთაძეს:**

„11 დეკემბერს კომიტეტი და მასში შემავალი კომისიების წევრები სრული შემადგენლობით შევიკრიბებით. შეჯამდება განვლილი მუშაობის შედეგები, მოვისმენთ თითოეული კომისიის ანგარიშს, განვიხილავთ სეზონის განახლებისთვის მოსამზადებელ გეგმას. 15 დეკემბრიდან მსაჯთა კორპუსს ერთთვიანი არდადეგები ექნება, მაგრამ ეს სრულ უმოქმედობას როდი ნიშნავს. თითოეული მსაჯი სეზონისთვის ინდივიდუალური პროგრამით მოემზადება.

2-6 თებერვალს ჩავატარებთ ტრადიციულ მსაჯთა ხსოვნის ტურნირს, რაც მომზადების ერთ-ერთი ეტაპი იქნება. 10-14 თებერვალს ბაკურიანს ვესტუმრებით, სადაც მსაჯები ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მომზადებას გაივლიან. ამასთან, გავეცნობით ეროვნული ჩემპიონატისა და თასის გათამაშების განვლილი მატჩების ვიდეომასალას, რასაც ფიფასა და უეფას რეკომენდაციების მიხედვით სასწავლო – მეთოდური მეცადინეობებისთვის გამოვიყენებთ. ჩვენი მიზანია ის, რომ მსაჯებმა საერთო ინტერპრეტაციაზე შეთანხმდნენ ამა თუ იმ სათამაშო ეპიზოდზე.

ბაკურიანის შემდეგ სამი დღით თბილისში შევიკრიბებით და ფიზიკურ და თეორიულ ტესტებს ჩავაბარებთ. გამოცდებს ჩააბარებენ აგრეთვე ინსპექტორები. განახლებული სეზონის მსაჯებს და ინსპექტორებს სფფ-ს აღმასკომი დაამტკიცებს. ვიმედოვნებთ, რომ ყველა ეს ღონისძიება დაგვეხმარება სეზონისთვის უკეთ მომზადებაში".



## „არა, ტაპის ნუ დაგვიბრუნებთ!"

ასე მიმართა მარსელის „ოლიმპიკის" აწ უკვე მთავარმა მწვრთნელმა როლან კურბისმა კლუბის მეპატრონეებს. მას შემდეგ, რაც გუნდი ღრმა კრიზისში მოექცა და ეროვნული ჩემპიონატის სატურნირო ცხრილის ფსკერზე დაეშვა, საფეხბურთო წრეებში გავრცელდა ხმები, რომ „ოლიმპიკის" სათავეში კვლავ ბრუნდება ბერნარ ტაპი. შეგახსენებთ, მის ხელში მარსელის კლუბმა ფრანგული ფეხბურთის ისტორიაში პირველად და ერთადერთხელ მოიპოვა ჩემპიონთა ლიგის თასი, მაგრამ შემდგომში ფინანსური მაქინაციების გამო ციხეში მოხვდა.

„ტაპი უწინდელივით დაღუპავს „ოლიმპიკს" – ამბობს კურბისი, – იგი გულშემატკივრებს თავს უბრუებს ცრუ დაპირებებით. ტაპი ბავშვივითაა, უნდა, რომ ყველა მას ეთაყვანებოდეს!".

*სურათზე: ბერნარ ტაპი*

# ბავშვთა ლიგა



### გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 22 | 19 | – | 3 | 79-15 | 57 |
| ირაო (თბ) | 22 | 18 | 1 | 3 | 52-9 | 55 |
| თბილისი | 22 | 13 | 4 | 5 | 46-23 | 43 |
| იმერეთი (ქუთ) | 22 | 9 | 5 | 8 | 24-31 | 32 |
| განათ. (ქუთ) | 22 | 8 | 5 | 9 | 22-21 | 29 |
| სიონი (ბოლ.) | 22 | 7 | 7 | 8 | 30-35 | 28 |
| კახეთი (თელ.) | 22 | 8 | 3 | 11 | 32-38 | 27 |
| სენაკი | 22 | 6 | 7 | 9 | 22-40 | 25 |
| დინამო (ბთ) | 22 | 7 | 3 | 12 | 26-38 | 24 |
| გურია (ლანჩ.) | 22 | 6 | 4 | 12 | 33-66 | 22 |
| გაზაფხ. (გორი) | 22 | 5 | 5 | 12 | 18-39 | 20 |
| ლაზიკა (ზუგ.) | 22 | 2 | 4 | 16 | 20-49 | 10 |

*ბავშვთა ლიგის (1985 წ. დაბადებულნი) პირველი გათამაშების ჩემპიონი გახდა თბილისის ნორჩი დინამოელის ფეხბურთელთა გუნდი: მწვრთნელი რევაზ გაგუა.*

## ინგლისურმა ჟურნალმა რჩეულად ინგლისური კლუბი დაასახელა

პოპულარულმა საფეხბურთო ჟურნალმა „უორლდ სოკერმა" პლანეტის 10 რჩეული კლუბის სია გამოაქვეყნა. პირველ ადგილზე კვლავ „მანჩესტერ იუნაიტედია" — 96 ქულა. ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული მადრიდის „რეალი" მას ორი ქულით ჩამორჩება. საკონტინენტთაშორისო თასის მომგები არგენტინელი „ბოკა ხუნიორსი" მეხუთე ადგილზეა (საუკეთესო ათეულში იგი ერთადერთი სამხრეთამერიკული კლუბია).

*1. მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) – 96*
*2. რეალი (მადრიდი, ესპანეთი) – 94*
*3. ვალენსია (ესპანეთი) – 72*
*4. დეპორტივო (ესპანეთი) – 64*
*5. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) – 55*
*6. რომა (იტალია) – 32*
*7. სპარტაკი (რუსეთი) – 28*
*8. ლევერკუზენი (გერმანია) – 23*
*9. მილანი (იტალია) – 22*
*10. ანდერლეხტი (ბელგია) – 19*





## «თუ ტოლდოს გაჰყიდით...»

რამდენიმე დღის წინათ „გაძეტა დელო სპორტმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომ „ფიორენტინას" სახელმოხვეჭილი მეკარე ფრანჩესკო ტოლდო „რომაში" გადადის, ამან, ცხადია, ფლორენციული კლუბის გულშემატკივართა შეშფოთება გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით, ფიორენტინას" გენერალურმა მენეჯერმა ჯანკარლო ანტონიონიმ ოფიციალურად განაცხადა, რომ თუ დედაქალაქურ კლუბს მაინცდამაინც სურს ტოლდოს შეძენა, სანაცვლოდ ფრანჩესკო ტოტი დაგვითმოსო.

## ჟარდელი — და მაინც «ბენფიკა»!

მას შემდეგ, რაც ლონდონის „ჩელსიმ" შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსში" წამყვანი ფორვარდი, ნორვეგიელი ტორე ანდრე ფლო გაყიდა, მისი სკაუტები მსოფლიოს მოედვნენ. ვის არ ასახელებენ ფლოს შემცვლელად! მათ შორისაა „გალათასარაის" თავდამსხმელი მარიო ჟარდელიც. თუმცა, კლაუდიო რანიერიმ გასულ შაბათს ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ბრაზილიელის ყიდვა გადაიფიქრა, ესპანეთის „სელტას" ყოფილი ფორვარდი ხაიმ რევივო მირჩევნიაო. ეს ფეხბურთელი ახლა თურქეთის „ფენერბაჰჩეში" თამაშობს. „ჩელსი" მზადაა სტამბოლელებს 7 მილიონი დოლარი გადაუხადოს. რაც შეეხება ბრაზილიელ მარიო ჟარდელს, იტყობინებიან, რომ იგი „ბენფიკაში" გადადის.

## ფერდინანდესი პარიზში ბრუნდება

**„მორჩა, მეტის მოთმენა აღარ შეიძლება. ფილიპს სამსახური უნდა დავატოვებინო!" — უთხრა „პარი სენ-ჟერმენის" კლუბის გაცხარებულმა პრეზიდენტმა ლორან პერპერმა გულშემატკივრებს მას შემდეგ, რაც მისმა გუნდმა დამამცირებელი მარცხი (1-5) იწვნია „სედანისაგან". პსჟ რომ ღრმა კრიზისშია, ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ბოლო ექვს მატჩში, გუნდმა მხოლოდ ერთი ქულა აიღო. პარიზელებმა ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპის საწყის მატჩშიც ცუდად ითამაშეს და „დეპორტივოსთან" დამარცხდნენ — 1-3. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ ლორან პერპერმა სეზონის დაწყებამდე ახალი მოთამაშეების შესაძენად 60 მილიონი დოლარი დახარჯა!**

**თქვა პრეზიდენტმა და სიტყვაც აღასრულა — დაუყოვნებლივ დაწერა ბრძანება მთავარი მწვრთნელის ფილიპ ბერჟეროს განთავისუფლების შესახებ. იტყობინებიან, რომ პსჟ-ს თავკაცად ისევ ლუის ფერნანდესი იქნება.**

## ომარი ჯარში გაიწვიეს

ომარ თეთრაძე, რომელსაც ახლა რუსულის გარდა ბერძნული პასპორტიც აქვს, როგორც ცნობილია, უკვე კარგა ხანია სალონიკის პაოკ-ში თამაშობს, მაგრამ ახლა გამოსვლები დროებით შეწყვიტა, რადგან გაიწვიეს... საბერძნეთის არმიაში.

## 10 დეკემბერს გაირკვევა

**როგორც ვლადიკავკაზის „ალანიის" გენერალურმა დირექტორმა ბატრაზ ბითაროვმა განაცხადა, გუნდის ბევრი მოთამაშის „ალანიაში" დარჩენა-არდარჩენის საკითხი 10 დეკემბრისათვის გახდება ცნობილი. ისე კი, მცველი მამუკა წერეთელი და თავდამსხმელი მიხეილ აშვეთია გუნდში გააგრძელებენ თამაშს.**

## ეს ხომ შოტლანდიური რეკორდია!

ნორვეგიის ნაკრებისა და ლონდონის „ჩელსის" ცნობილი თავდამსხმელი ტორე-ანდრე ფლო შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსში" გადავიდა. მისთვის „გლაზგო რეინჯერსმა" 17 მილიონი დოლარი გადაიხადა, რაც შოტლანდიის ლიგისათვის სარეკორდო თანხა გახლავთ.

## სანაია კარგი მეკარეა, მაგრამ...

**რუსეთის უმაღლეს ლიგაში გადასული „სოკოლი" (სარატოვი) დატოვა მისმა ძირითადმა მეკარემ პლატონ ზახარჩუკმა, რომელიც ამიერიდან მოსკოვის „ლოკომოტივში" ითამაშებს.**

**— ახლა ახალი გოლკიპერი უნდა მოვძებნოთ, — თქვა „სოკოლის" მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ კორეშკოვმა — ჩვენთან მოთამაშე ზურაბ სანაია კარგი, საიმედო მეკარეა, მაგრამ იგი სეზონის განმავლობაში ძალიან ცოტათი იყო დაკავებული.**

# რასა იქმთ, ლეგიონერებო?

გერმანიის ბუნდესლიგის XV ტური იღბლიანი გამოდგა ქართველი ლეგიონერებისთვის — არჩილ არველაძე და ლევან კობიაშვილი თავიანთ გუნდებში საუკეთესოდ გაისარჯნენ.

ტრავმამოშუშებული არჩილ არველაძე ყველაზე შესამჩნევი ფიგურა იყო „კიოლნისა" და „მიუნხენ-1860"-ის მატჩში. მასპინძლებმა დიდი ანგარიშით — 4-0 გაიმარჯვეს. მიუნხენელმა მცველებმა ვერაფერი მოუხერხეს ქართველ ფორვარდს. 65-ე წუთზე არჩილმა ეფექტურად ჩამოიშორა რამდენიმე მოწინააღმდეგე და ლამაზი გოლი გაიტანა. მანამდე კი ჩვენებურმა საგოლე გადაცემაც შეასრულა. მატჩის შემდეგ არველაძე ჟურნალისტებმა საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.



არჩილ არველაძე

„ჰერტა" — „ფრაიბურგის" შეხვედრაში თავდაპირველად მასპინძლები დაწინაურდნენ — 2-0. აი ამის შემდეგ კი „აიწყვიტა" ლევან კობიაშვილმა. მან პირველი ტაიმის მიწურულს ერთი გოლი გააქვითვინა ცაიერს, მერე კი, როცა მინდორზე შეცვლაზე გამოსული ალექსანდრე იაშვილი გამოჩნდა, ქართველებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მეტოქის კართან. სწორედ კობიაშვილის უშუალო მონაწილეობით ჩატარდა ის შეტევა, რომლის შემდეგ ფრაიბურგელებმა პენალტი დაიმსახურეს. მისი გარდასახვა გოლად კობიაშვილს არ გასჭირვებია. საბოლოოდ, შეხვედრა ფრედ 2-2 დასრულდა. აქაც საუკეთესო მოთამაშედ ჟურნალისტებმა კობიაშვილი დაასახელეს. ჩვენებური წლევანდელ სეზონში უკვე მეოთხედ შეიყვანეს ტურის სიმბოლურ ნაკრებში.



ლევან კობიაშვილი

### რა იქნებოდა „ციურიხი" უქართველებოდ?

თამამად შეიძლება ითქვას, ქართველი ლეგიონერები — გოჩა ჯამარაული და მიხეილ ყაველაშვილი რომ არა, შვეიცარიული „ციურიხი" ეროვნულ ჩემპიონატში ერთ-ერთ სუსტ გუნდად მოგვევლინებოდა. დღეისათვის გუნდს გატანილი აქვს 33 გოლი, აქედან 19 ჩვენებურების ანგარიშზეა. მათ კვირას გამართულ „ციურიხი" — „ბაზელის" მატჩშიც (2-0) ისახელეს თავი და თითო გოლი გაიტანეს მეტოქის კარში.

## შოთას მორიგი წარმატება



შოთა არველაძე

მორიგი შეხვედრები გამართეს ჰოლანდიის პირველი დივიზიონის გუნდებმა. „აიაქსმა" დიდი ანგარიშით – 6-2 გაანადგურა „ჰერენვენი". მინდორზე ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა შოთა არველაძე იყო. ამსტერდამელთა გუნდის მეხუთე გოლი მის ანგარიშზეა.

# ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები

## ესპანეთი
### პრიმერადივიზიონი. XIII ტური

ვალიადოლიდი – ვალენსია 0-0
რაიო – რასინგი 4-1
ესპანიოლი – დეპორტივო 0-2
ოსასუნა – რეალი 2-3
სელტა – ბარსელონა 3-3
ოვიედო – მალაგა 3-2
ალავესი – ბილბაო 2-1
ვილიარეალი – ნუმანსია 0-0
სოსიედადი – ლას პალმასი 1-1
სარაგოსა – მალიორკა 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 13 | 8 | 3 | 2 | 23-10 | 27 |
| ვალენსია | 13 | 7 | 4 | 2 | 23-9 | 25 |
| რეალი | 12 | 7 | 2 | 3 | 26-15 | 23 |
| რაიო | 13 | 6 | 4 | 3 | 29-19 | 22 |
| ალავესი | 13 | 6 | 3 | 4 | 19-12 | 21 |
| მალიორკა | 13 | 6 | 3 | 4 | 15-14 | 21 |
| ბარსელონა | 13 | 6 | 2 | 5 | 23-18 | 20 |
| ოვიედო | 13 | 6 | 2 | 5 | 19-18 | 20 |
| სელტა | 13 | 5 | 3 | 5 | 17-17 | 18 |
| ესპანიოლი | 13 | 5 | 3 | 5 | 12-12 | 18 |
| ლას პალმასი | 13 | 5 | 3 | 5 | 15-24 | 18 |
| ვალიადოლ. | 13 | 3 | 7 | 3 | 13-14 | 16 |
| ვილიარეალი | 13 | 4 | 4 | 5 | 12-17 | 16 |
| მალაგა | 13 | 4 | 3 | 6 | 20-22 | 15 |
| ატლეტიკო | 13 | 4 | 3 | 6 | 16-21 | 15 |
| სარაგოსა | 12 | 3 | 5 | 4 | 13-13 | 14 |
| ნუმანსია | 13 | 3 | 3 | 7 | 13-21 | 12 |
| სოსიედადი | 13 | 3 | 3 | 7 | 15-28 | 12 |
| რასინგი | 13 | 2 | 4 | 7 | 15-24 | 10 |
| ოსასუნა | 13 | 1 | 6 | 6 | 11-20 | 9 |

## შვეიცარია
### „ა" ჯგუფი. XXI ტური

ლოზანა – ქსამაქსი 2-0
ლუგანო – სერვეტი 1-0
არაუ – გრასჰოპერსი 1-3
სიონი – ლუცერნი 3-0
სტ. გალენი – ივერდონი 7-0
ციურიხი – ბაზელი 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლუგანო | 21 | 12 | 5 | 4 | 32-15 | 41 |
| სტ. გალენი | 21 | 11 | 7 | 3 | 42-15 | 40 |
| გრასჰოპერსი | 21 | 11 | 3 | 7 | 44-22 | 36 |
| ბაზელი | 21 | 10 | 4 | 7 | 40-33 | 34 |
| ლოზანა | 21 | 10 | 2 | 9 | 34-32 | 32 |
| სიონი | 21 | 9 | 5 | 7 | 27-30 | 32 |
| სერვეტი | 21 | 8 | 6 | 7 | 31-25 | 30 |
| ციურიხი | 21 | 7 | 7 | 7 | 33-27 | 28 |
| არაუ | 21 | 6 | 5 | 10 | 28-40 | 23 |
| ივერდონი | 21 | 5 | 5 | 11 | 24-40 | 20 |
| ლუცერნი | 21 | 5 | 3 | 13 | 26-49 | 18 |
| ქსამაქსი | 21 | 5 | 2 | 14 | 20-53 | 17 |

## ჰოლანდია
### I დივიზიონი

როდა – პსვ 1-2
ტილბურგი – ალკმაარი 1-1
სიტარდი – უტრეხტი 0-1
სპარტა – გრააფსხაპი 2-1
ნაიმეგენი – ტვენტე 1-0
ვალვაიკი – გრონინგენი 0-0
აიაქსი – ჰერენვენი 6-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 13 | 11 | 1 | 1 | 32-12 | 34 |
| პსვ | 14 | 10 | 3 | 1 | 25-10 | 33 |
| ვიტესი | 14 | 10 | 2 | 2 | 32-20 | 32 |
| აიაქსი | 16 | 9 | 3 | 4 | 39-20 | 30 |
| ნაიმეგენი | 15 | 6 | 8 | 1 | 24-15 | 26 |
| როდა | 15 | 7 | 3 | 5 | 31-24 | 24 |
| ვალვაიკი | 15 | 6 | 5 | 4 | 15-13 | 23 |
| ალკმაარი | 15 | 6 | 4 | 5 | 26-24 | 22 |
| ტვენტე | 15 | 5 | 5 | 5 | 25-24 | 20 |
| ბრედა | 14 | 6 | 2 | 6 | 21-21 | 20 |
| უტრეხტი | 15 | 5 | 3 | 7 | 24-29 | 18 |
| ტილბურგი | 14 | 3 | 6 | 5 | 20-21 | 15 |
| ჰერენვენი | 14 | 3 | 6 | 5 | 16-25 | 15 |
| გრააფსხაპი | 16 | 4 | 1 | 11 | 24-31 | 13 |
| სპარტა | 15 | 3 | 4 | 8 | 21-31 | 13 |
| გრონინგენი | 15 | 3 | 4 | 8 | 18-28 | 13 |
| როზენდალი | 15 | 3 | 0 | 12 | 21-40 | 9 |
| სიტარდი | 14 | 0 | 4 | 10 | 7-32 | 4 |

## შოტლანდია
### XIX ტური

აბერდინი – კილმარნოკი 1-2
სელტიკი – დანფერმლაინი 3-1
დანდი – სტ. ჯონსტონი 1-1
ჰართსი – რეინჯერსი 0-1
მოზერუელი – ჰიბერნიანი 1-3
სტ. მირენი – დანდი იუნ. (გადაიდო)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 19 | 15 | 3 | 1 | 46-20 | 48 |
| ჰიბერნიანი | 19 | 12 | 5 | 2 | 34-13 | 41 |
| კილმარნოკი | 19 | 11 | 3 | 5 | 25-18 | 36 |
| რეინჯერსი | 17 | 11 | 2 | 4 | 37-21 | 35 |
| ჰართსი | 19 | 7 | 4 | 8 | 28-30 | 25 |
| სტ. ჯონსტ. | 19 | 6 | 7 | 6 | 19-25 | 25 |
| დანდი | 18 | 6 | 5 | 7 | 25-19 | 23 |
| მოზერუელი | 19 | 6 | 4 | 9 | 25-29 | 22 |
| დანფერმლ. | 19 | 5 | 5 | 9 | 16-25 | 20 |
| აბერდინი | 18 | 3 | 8 | 7 | 18-25 | 17 |
| სტ. მირენი | 18 | 3 | 2 | 13 | 12-35 | 11 |
| დანდი იუნ. | 18 | 1 | 2 | 15 | 11-36 | 5 |




## საბერძნეთი
### IX ტური

პანიონიოსი – აეკ 2-0
ოლიმპიაკოსი – კალამატა 5-2
ქსანთი – პაოკი 0-2
იანინა – პანაჰაიკი 1-1
არისი – იონიკოსი 0-0
ეთნიკოსი – ოფი 1-0
ირაკლისი – პანათინაიკოსი 0-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკ. | 9 | 7 | 2 | 0 | 30-9 | 23 |
| პანათინაიკ. | 9 | 5 | 4 | 0 | 14-5 | 19 |
| ირაკლისი | 9 | 5 | 2 | 2 | 12-6 | 17 |
| ეთნიკოსი | 9 | 5 | 2 | 2 | 15-16 | 17 |
| აეკ | 9 | 5 | 1 | 3 | 17-14 | 16 |
| იონიკოსი | 9 | 4 | 3 | 2 | 14-10 | 15 |
| ქსანთი | 9 | 4 | 3 | 2 | 8-8 | 15 |
| არისი | 9 | 4 | 2 | 3 | 12-8 | 14 |
| პაოკი | 9 | 3 | 4 | 2 | 15-14 | 13 |
| პანიონიოსი | 9 | 2 | 4 | 3 | 9-12 | 10 |
| პანაჰაიკი | 9 | 2 | 2 | 5 | 12-18 | 8 |
| იანინა | 9 | 1 | 3 | 5 | 12-17 | 6 |
| კალამატა | 9 | 1 | 3 | 5 | 13-20 | 6 |
| ათინაიკოსი | 8 | 2 | 0 | 6 | 10-19 | 6 |
| ოფი | 9 | 1 | 2 | 6 | 9-17 | 5 |
| პანილიაკოსი | 8 | 0 | 3 | 5 | 3-12 | 3 |

## თურქეთი
### XV ტური

ანკარა – გალათასარაი 1-3
ტრაბზონი – გაზიანთეფი 3-1
იოზგათი – ისტანბული 3-0
ანთალია – ქოჯაელი 2-2
ბეშიქთაში – გენჩლერბირ. 0-3
იეთფა – დენიზლი 1-1
რიზე – სამსუნი 0-1
ადანა – ბურსა 1-1
ფენერბახჩე – ერზრუმი 4-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 15 | 11 | 1 | 3 | 35-22 | 34 |
| გალათასარაი | 14 | 10 | 2 | 2 | 35-11 | 32 |
| ფენერბახჩე | 15 | 10 | 2 | 3 | 37-19 | 32 |
| გაზიანთეფი | 15 | 8 | 5 | 2 | 23-18 | 29 |
| ტრაბზონი | 15 | 8 | 4 | 3 | 32-20 | 28 |
| გენჩლერბირ. | 15 | 8 | 3 | 4 | 20-14 | 27 |
| სამსუნი | 15 | 7 | 4 | 4 | 24-19 | 25 |
| ისთანბული | 15 | 6 | 4 | 5 | 20-21 | 22 |
| იოზგათი | 15 | 5 | 5 | 5 | 22-18 | 20 |
| ანთალია | 14 | 5 | 5 | 4 | 20-21 | 20 |
| ანკარა | 15 | 5 | 5 | 5 | 22-26 | 20 |
| დენიზლი | 15 | 4 | 5 | 6 | 18-27 | 17 |
| რიზე | 15 | 3 | 4 | 8 | 14-18 | 13 |
| ბურსა | 15 | 3 | 4 | 8 | 17-32 | 13 |
| ადანა | 15 | 2 | 6 | 7 | 20-27 | 12 |
| ერზრუმი | 15 | 3 | 2 | 10 | 18-35 | 11 |
| ქაჯაელი | 15 | 0 | 6 | 9 | 12-27 | 6 |
| იეთფა | 15 | 0 | 5 | 10 | 16-36 | 5 |




შევჩენკოს გოლმა „მილანს" გამარჯვება მოუტანა

## გერმანია
### ბუნდესლიგა. XV ტური

კიოლნი – მიუნხენი 4-0
შტუტგარტი – დორტმუნდი 0-2
ვოლფსბურგი – შალკე 2-0
ბოხუმი – აინტრახტი 2-1
ჰერტა – ფრაიბურგი 2-2
ბაიერნი – ლევერკუზენი 2-0
კაიზერი – ჰამბურგი 2-1
კოტბუსი – ჰანზა 1-0
უნტერჰახინგი – ვერდერი (გადაიდო)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევერკუზ. | 15 | 8 | 4 | 3 | 22-16 | 28 |
| ჰერტა | 15 | 9 | 1 | 5 | 34-23 | 28 |
| შალკე | 15 | 8 | 3 | 4 | 31-16 | 27 |
| ბაიერნი | 15 | 8 | 2 | 5 | 32-18 | 26 |
| დორტმუნდი | 15 | 8 | 2 | 5 | 24-24 | 26 |
| კიოლნი | 15 | 7 | 3 | 5 | 30-25 | 24 |
| კაიზერი | 15 | 7 | 2 | 6 | 21-21 | 23 |
| ვოლფსბ. | 15 | 5 | 6 | 4 | 31-21 | 21 |
| ჰანზა | 15 | 6 | 3 | 6 | 13-22 | 21 |
| აინტრახტი | 15 | 6 | 2 | 7 | 20-23 | 20 |
| ჰამბურგი | 15 | 5 | 3 | 7 | 31-29 | 18 |
| ვერდერი | 14 | 4 | 5 | 5 | 18-20 | 17 |
| ფრაიბურგი | 15 | 4 | 5 | 6 | 18-20 | 17 |
| უნტერჰახ. | 14 | 4 | 5 | 5 | 17-22 | 17 |
| კოტბუსი | 15 | 5 | 2 | 8 | 16-26 | 17 |
| მიუნხენი | 15 | 3 | 6 | 6 | 17-27 | 15 |
| ბოხუმი | 15 | 4 | 3 | 8 | 13-26 | 15 |
| შტუტგარტი | 15 | 3 | 5 | 7 | 20-27 | 14 |

## ინგლისი
### პრემიერლიგა. XVI ტური

არსენალი – საუთჰემპტონი 1-0
ასტონ ვილა – ნიუკასლი 1-1
ბრედფორდი – ქოვენთრი 2-1
იფსვიჩი – დერბი 0-1
ლესტერი – ლიდსი 3-1
ლივერპული – ჩარლტონი 3-0
მანჩესტ.იუნ. – ტოტენჰემი 2-0
ვესტ ჰემი – მიდლსბრო 1-0
ჩელსი – მანჩესტერ სიტი 2-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტ.იუნ. | 16 | 12 | 3 | 1 | 41-10 | 39 |
| არსენალი | 16 | 9 | 4 | 3 | 24-13 | 31 |
| ლესტერი | 16 | 8 | 5 | 3 | 17-12 | 29 |
| ლივერპული | 16 | 8 | 3 | 5 | 32-23 | 27 |
| იფსვიჩი | 16 | 8 | 3 | 5 | 23-17 | 27 |
| ასტონ ვილა | 15 | 6 | 6 | 3 | 18-13 | 24 |
| ნიუკასლი | 16 | 7 | 3 | 6 | 18-16 | 24 |
| ტოტენჰემი | 16 | 7 | 2 | 7 | 22-23 | 23 |
| სანდერლ. | 15 | 6 | 5 | 4 | 15-16 | 23 |
| ლიდსი | 15 | 6 | 4 | 5 | 22-22 | 22 |
| ევერტონი | 15 | 6 | 3 | 6 | 19-21 | 21 |
| ჩარლტონი | 16 | 6 | 3 | 7 | 21-24 | 21 |
| ჩელსი | 16 | 5 | 5 | 6 | 28-23 | 20 |
| საუთჰემპტ. | 16 | 4 | 5 | 7 | 21-28 | 17 |
| მანჩესტ.სიტი | 16 | 4 | 2 | 10 | 18-30 | 14 |
| დერბი | 16 | 2 | 7 | 7 | 19-31 | 13 |
| ქოვენთრი | 16 | 3 | 3 | 19 | 15-32 | 12 |
| მიდლსბრო | 16 | 2 | 5 | 9 | 19-27 | 11 |
| ბრედფორდი | 16 | 2 | 5 | 9 | 9-25 | 11 |

## იტალია
### სერია A. IX ტური

ლაციო – რეჯინა 2-0
პარმა – ატალანტა 2-0
ბოლონია – ვიჩენცა 1-1
ლეჩე – ფიორენტინა 1-1
ნაპოლი – ბარი 1-0
პერუჯა – რომა 0-0
უდინეზე – მილანი 0-1
ვერონა – ბრეშია 2-1
ინტერი – იუვენტუსი 2-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 9 | 7 | 1 | 1 | 20-7 | 22 |
| ატალანტა | 9 | 5 | 3 | 1 | 15-8 | 18 |
| ბოლონია | 9 | 5 | 2 | 2 | 16-10 | 17 |
| პარმა | 9 | 5 | 2 | 2 | 13-7 | 17 |
| უდინეზე | 9 | 5 | 1 | 3 | 16-9 | 16 |
| იუვენტუსი | 9 | 4 | 4 | 1 | 14-9 | 16 |
| ლაციო | 9 | 4 | 3 | 2 | 13-9 | 15 |
| მილანი | 9 | 4 | 3 | 2 | 14-11 | 15 |
| ინტერი | 9 | 3 | 3 | 3 | 12-12 | 12 |
| ლეჩე | 9 | 3 | 3 | 3 | 7-10 | 12 |
| ფიორენტინა | 9 | 2 | 5 | 2 | 15-15 | 11 |
| ვერონა | 9 | 2 | 4 | 3 | 12-16 | 10 |
| პერუჯა | 9 | 2 | 3 | 4 | 11-15 | 9 |
| ვიჩენცა | 9 | 2 | 3 | 4 | 10-14 | 9 |
| ბრეშია | 9 | 1 | 3 | 5 | 10-15 | 6 |
| ნაპოლი | 9 | 1 | 3 | 5 | 7-15 | 6 |
| ბარი | 9 | 1 | 2 | 6 | 6-15 | 5 |
| რეჯინა | 9 | 1 | 0 | 8 | 4-18 | 3 |

## პორტუგალია
### I ლიგა. XIII ტური

ბელენენსეში – გიმარაეში 1-0
ბეირა მარი – ავეში 1-0
ბრაგა – პორტუ 2-1
კამპომაიორ. – მარიტიმუ 2-2
ამადორა – ჟილ ვისენტე 2-1
ფერეირა – ფარენსე 1-1
ლეირია – სალგეირუში 2-1
ბენფიკა – სპორტინგი 3-0
ბოავიშტა – ალვერკა 5-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 13 | 10 | 1 | 2 | 31-9 | 31 |
| ბრაგა | 13 | 8 | 3 | 2 | 23-15 | 27 |
| ბოავიშტა | 13 | 7 | 5 | 1 | 27-11 | 26 |
| სპორტინგი | 13 | 8 | 2 | 3 | 23-13 | 26 |
| ბელენენსეში | 13 | 7 | 4 | 2 | 16-10 | 25 |
| ბენფიკა | 13 | 7 | 3 | 3 | 21-12 | 24 |
| სალგეირუში | 13 | 7 | 0 | 6 | 17-19 | 21 |
| ფერეირა | 13 | 5 | 4 | 4 | 20-13 | 19 |
| ფარენსე | 13 | 5 | 4 | 4 | 18-16 | 19 |
| მარიტიმუ | 13 | 5 | 3 | 5 | 14-12 | 18 |
| ლეირია | 13 | 4 | 5 | 4 | 13-20 | 17 |
| ბეირა მარი | 13 | 4 | 3 | 6 | 13-19 | 15 |
| გიმარაეში | 13 | 3 | 3 | 7 | 17-24 | 12 |
| ალვერკა | 13 | 3 | 3 | 7 | 15-26 | 12 |
| კამპომაიორ. | 13 | 1 | 7 | 5 | 10-22 | 10 |
| ავეში | 13 | 2 | 2 | 9 | 14-25 | 8 |
| ამადორა | 13 | 2 | 1 | 10 | 11-25 | 7 |
| ჟილ ვისენტე | 13 | 1 | 3 | 9 | 8-20 | 6 |

## ჩეხეთი
### XVI ტური

*გამოტოვებული მატჩები*

სლავია – სპარტა 1-3
ბლშანი – ბრნო 0-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 16 | 13 | 1 | 2 | 42-14 | 40 |
| ტეპლიცე | 15 | 8 | 3 | 4 | 27-16 | 27 |
| სიგმა | 15 | 7 | 5 | 3 | 26-15 | 26 |
| პრჟიბრამი | 16 | 7 | 4 | 5 | 24-18 | 25 |
| სინოტი | 16 | 6 | 7 | 3 | 24-18 | 25 |
| ჟიჟკოვი | 16 | 7 | 4 | 5 | 25-24 | 25 |
| ლიბერეცი | 16 | 7 | 3 | 6 | 24-22 | 24 |
| სლავია | 14 | 5 | 5 | 4 | 17-16 | 20 |
| ბოჰემიანსი | 16 | 4 | 7 | 5 | 20-20 | 19 |
| იაბლონეცი | 16 | 4 | 7 | 5 | 15-21 | 19 |
| ბლშანი | 16 | 4 | 5 | 7 | 16-19 | 17 |
| ბრნო | 16 | 5 | 2 | 9 | 16-21 | 17 |
| დრნოვიცე | 16 | 4 | 5 | 7 | 14-19 | 17 |
| ბუდოვიცე | 16 | 3 | 6 | 7 | 19-31 | 15 |
| ბანიკი | 16 | 3 | 6 | 7 | 14-28 | 15 |
| პლზენი | 16 | 1 | 6 | 9 | 13-34 | 9 |

## ბელგია
### XV ტური

ანდერლეხტი – ბრიუგე 2-0
შარლერუა – აალსტი 0-0
ანტვერპენი – მეხელენი 3-1
ლიერსი – ბეერსხოტი 1-1
გენკი – ლუვიე 1-0
გენტი – სტანდარდი 2-1
მუსკრონი – ლოკერენი 2-1
ჰარელბეკი – ვესტერლო 0-4
ბევერენი – სტ. ტრუიდენი 0-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 15 | 14 | 0 | 1 | 53-10 | 42 |
| ანდერლეხტი | 15 | 12 | 3 | 0 | 45-13 | 39 |
| სტანდარდი | 15 | 9 | 3 | 3 | 38-18 | 30 |
| მუსკრონი | 15 | 9 | 1 | 5 | 34-18 | 28 |
| გენტი | 15 | 8 | 3 | 4 | 30-24 | 27 |
| ვესტერლო | 15 | 8 | 3 | 4 | 27-22 | 27 |
| შარლერუა | 15 | 8 | 1 | 6 | 25-29 | 25 |
| ლიერსი | 15 | 7 | 3 | 5 | 26-22 | 24 |
| ბეერსხოტი | 15 | 6 | 1 | 8 | 22-24 | 19 |
| გენკი | 15 | 4 | 6 | 5 | 17-16 | 18 |
| ლოკერენი | 15 | 4 | 6 | 5 | 16-23 | 18 |
| ბევერენი | 15 | 4 | 5 | 6 | 12-27 | 17 |
| ანტვერპენი | 15 | 5 | 1 | 9 | 16-24 | 16 |
| სტ. ტრუიდ. | 15 | 3 | 4 | 8 | 16-26 | 13 |
| აალსტი | 15 | 3 | 4 | 8 | 16-35 | 13 |
| მეხელენი | 15 | 2 | 3 | 10 | 20-35 | 9 |
| ლუვიე | 15 | 1 | 4 | 10 | 11-30 | 7 |
| ჰარელბეკი | 15 | 2 | 1 | 12 | 19-49 | 7 |



ბოხუმი – აინტრახტი 2-1

## საფრანგეთი
### I დივიზიონი. XIX ტური

მეცი – ლიონი 0-0
ბასტია – ოსერი 3-1
ტრუა – ბორდო 1-0
ნანტი – გენგამი 2-1
რენი – ლილი 2-0
სედანი – პსჟ 5-1
მონაკო – სტრასბური 1-0
სენტ ეტიენი – ტულუზი 1-0
ლანსი – მარსელი 1-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანტი | 18 | 10 | 3 | 5 | 32-21 | 33 |
| სედანი | 19 | 9 | 6 | 4 | 30-19 | 33 |
| ბორდო | 19 | 8 | 7 | 4 | 25-15 | 31 |
| ლანსი | 19 | 8 | 6 | 5 | 23-18 | 30 |
| ბასტია | 18 | 8 | 4 | 6 | 21-18 | 28 |
| გენგამი | 19 | 8 | 4 | 7 | 21-22 | 28 |
| ლილი | 18 | 7 | 6 | 5 | 18-14 | 27 |
| ტრუა | 19 | 7 | 5 | 7 | 22-26 | 26 |
| ლიონი | 18 | 5 | 10 | 3 | 22-16 | 25 |
| პსჟ | 18 | 7 | 4 | 7 | 29-28 | 25 |
| რენი | 19 | 7 | 4 | 8 | 19-18 | 25 |
| მონაკო | 19 | 7 | 4 | 8 | 26-26 | 25 |
| ოსერი | 19 | 7 | 4 | 8 | 19-22 | 25 |
| სენტ ეტიენი | 19 | 6 | 6 | 7 | 26-27 | 24 |
| მარსელი | 19 | 6 | 3 | 10 | 19-25 | 21 |
| მეცი | 19 | 5 | 6 | 8 | 15-23 | 21 |
| სტრასბური | 19 | 4 | 4 | 11 | 15-38 | 16 |
| ტულუზი | 18 | 3 | 6 | 9 | 16-22 | 15 |

## ავსტრია
### XXII ტური

ადმირა – ლინცერი 1-1
რაპიდი – ბრეგენცი 5-0
რიდი – აუსტრია 0-0
ზალცბურგი – შტურმი 0-1
გრაცერი – ტიროლი 3-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 22 | 12 | 6 | 4 | 44-25 | 42 |
| ტიროლი | 22 | 12 | 5 | 5 | 41-20 | 41 |
| აუსტრია | 22 | 10 | 6 | 6 | 33-20 | 36 |
| გრაცერი | 22 | 10 | 4 | 8 | 32-27 | 34 |
| შტურმი | 22 | 10 | 3 | 9 | 38-30 | 33 |
| ზალცბურგი | 22 | 9 | 6 | 7 | 32-27 | 33 |
| რიდი | 22 | 8 | 6 | 8 | 35-32 | 30 |
| ბრეგენცი | 22 | 6 | 4 | 12 | 27-44 | 22 |
| ადმირა | 22 | 4 | 5 | 13 | 18-51 | 17 |
| ლინცერი | 22 | 3 | 7 | 12 | 23-47 | 16 |

## აფრიკამ თავისი რჩეული დაასახელა

2000 წლის საუკეთესო ფეხბურთელი დაასახელა აფრიკის კონტინენტალურმა ფედერაციამ. ესაა კამერუნელი პატრიკ მბომა, რომელიც „პარმას" ღირსებას იცავს.

## ჩემპიონთა ლიგა — მეორე ტური

<u>5 დეკემბერი</u>

არსენალი – ბაიერნი
ლიონი – სპარტაკი
ლაციო – ლიდსი
რეალი – ანდერლეხტი

<u>6 დეკემბერი</u>

პანათინაიკოსი – ვალენსია
შტურმი – მანჩესტერი
დეპორტივო – მილანი
გალათასარაი – პსჟ

**A ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტ. | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| ვალენსია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| პანათინ. | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |
| შტურმი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

**B ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტ. | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| მილანი | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| გალათას. | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| პსჟ | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |

**C ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 1 | 1 | 0 | 0 | 4-1 | 3 |
| ბაიერნი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| ლიონი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| არსენალი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-4 | 0 |

**D ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| ანდერლ. | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| ლაციო | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| ლიდსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |



## ოტმარ ჰითცფელდი:
# თითქმის ვალდებული ვარ მოვიგო ჩემპიონთა ლიგა

**ოტმარ ჰითცფელდი ფართოდ ცნობილი პიროვნებაა ფეხბურთის სამყაროში. დაიბადა 1949 წლის 12 იანვარს ლიორახში. თამაშობდა „ლიორახში“, „ბაზელში“ (შვეიცარია), „შტუტგარტში“, „ლუგანოში“ (შვეიცარია), „ლიუცერნში“ (შვეიცარია), შვეიცარიის ჩემპიონი 1972 და 1973 წლებში, თასის მფლობელი 1975 წ.**

**წვრთნიდა შვეიცარიულ „ცუგს“, „არაუსა“ და „გრასჰოპერსს“, 1991-1998 წლებში ხელმძღვანელობდა დორტმუნდის „ბორუსიას“, 1998 წლის ივლისიდან კი მიუნხენის „ბაიერნში“ მუშაობს. როგორც მწვრთნელს, დიდი წარმატებები აქვს. 1997 წელს გაიმარჯვა ჩემპიონთა ლიგაში, 1990 და 1991 წელს — შვეიცარიის ჩემპიონი, 1995, 1996, 1999 და 2000 წ — გერმანიის ჩემპიონი, 1985, 1989 და 1990 წელს მოიპოვა შვეიცარიის თასი, 2000 წელს კი გერმანიის თასი.**

**ოტმარ ჰითცფელდს ესაუბრება პარიზის „ფრანს ფუტბოლის“ კორესპონდენტი არნო რამსეი.**

● ***„ბაიერნს“ ახლა ყველაფერი ზომაზე მეტიც კი აქვს. საკუთარ თავს იმის ნებაც კი მიეცით, რომ ახალი სეზონის წინ შემადგენლობა არ გაგეძლიერებინათ. სულ ორად ორი მოთამაშე შეიძინეთ: ფრანგი ვილი სანიოლი და შვეიცარიელი ჩირიაკო სფორცა. რატომ იყავით ასეთი პასიურები სატრანსფერო ბაზარზე?***

— რატომ უნდა გავანიავოთ ჩვენი ქონება? ეს არ გვახასიათებს. სისულელეა მარცხნივ და მარჯვნივ ფულის გადაყრა მხოლოდ იმის დასამტკიცებლად, შემოგვხედეთ, როგორი აქტიურები ვართ სატრანსფერო ბაზარზეო. ნამდვილად ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი კლუბი ვართ მსოფლიოში („ბაიერნის“ ბიუჯეტი დაახლოებით 115 მილიონი დოლარია და მხოლოდ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ბიუჯეტს ჩამოუვარდება, რომელიც 125 მილიონ დოლარს შეადგენს — *რედ.*). მაგრამ არ გვჩვევია ფულის დახარჯვა ამბიციების გულისათვის. კრესპოზე ან ფიგუზე ნადირობას ჭკვიანურ სასელექციო პოლიტიკას ვამჯობინებთ. ერთი წლის წინათ პარაგვაელ როკე სანტაკრუსში 10 მილიონი გადავიხადეთ, და, ვფიქრობ, სწორიც ვიყავით. წელს სანიოლი დაახლოებით 8 მილიონი დაგვიჯდა. ორივე ეს მოთამაშე ახალგაზრდა და პერსპექტიულია. ისე რომ, სწორად მოვიქეცით. უფრო ის მომწონს, როცა მოთამაშე კლუბში იზრდება, სწორედ აქ ყალიბდება სათამაშო აზროვნება. აქვე გეტყვით, რომ ნებისმიერი ყიდვა „ბაიერნში“ შორს გათვლით ხორციელდება, შემდეგში უფრო დიდ თანხად გაყიდვის შესაძლებლობით. ფეხბურთელმა, რომელიც კლუბში მიდის, სათამაშო თვალსაზრისით, და, არა მარტო ამ მხრივ, რაღაცა უნდა შეგვძინოს.

● ***ეს სანიოლსა და სფორცასაც ეხება?***

— რა თქმა უნდა. არც ერთი არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა. სანამ კონტრაქტს მოვაწერთ ხელს, ყველაფერს დეტალურად ვსწავლობთ: მოთამაშის მონაცემებს — მის მიღწევებს, მის პროგრესს, მის პოტენციალს. სანიოლს დიდი ხანია თვალყურს ვადევნებდი, ჯერ კიდევ მაშინ, როცა დორტმუნდში ვმუშაობდი. რაც შეეხება სფორცას, იგი ადრე უკვე თამაშობდა „ბაიერნში“ და შესაძლოა, კვლავ გაიხსნას, ძალიან კარგად დაიწყოს მოქმედება.

● ***დარწმუნებული ხართ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ვითარება არ შეიცვლება და „ბაიერნიც“ არ დაიწყებს ვარსკვლავებზე „ნადირობას“?***

— „ერთ მშვენიერ დღეს“ შეიძლება ყველაფერი მოხდეს, მაგრამ დღეისათვის კლუბის საკადრო პოლიტიკა ასეთია: ვიღებთ მხოლოდ აწონილ-დაწონილ გადაწყვეტილებებს, მხოლოდ იმას ვაკეთებთ, რაც შემდეგში სარგებლობას მოგვიტანს. როცა კლუბი ყიდულობს მოთამაშეს, რომელიც დაახლოებით 30 მილიონი დოლარი ღირს, იგი ამით იძენს ვარსკვლავს, რომელსაც შეუძლია კარდინალურად შეცვალოს თამაში, ახალი მოიტანოს. დღეს გუნდს კარდინალური ცვლილებები არა სჭირდება. თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ხვალ ან მომდევნო წელს ამა თუ იმ მიზეზით ძვირადღირებულ ფეხბურთელებს არ შევიძენთ. ყველაფერი რეალურ სიტუაციაზეა დამოკიდებული.

● ***კრისტოფ დაუმი თვლიდა, რომ „ბაიერნს“ ამ სეზონში ვერავინ შეუშლის ხელს მოიპოვოს ჩემპიონობა. თქვენც ასე ფიქრობთ, რომ ჩემპიონობა გარანტირებული გაქვთ?***

— ყოველ წელს მხოლოდ ერთ ამოცანას ვისახავთ: ჩემპიონები უნდა გავხდეთ. მაგრამ ძალზე სახიფათოა სეზონის დასაწყისში იმაზე მსჯელობა, რომ უკვე გამარჯვებულები ვართ. იმასაც ამბობენ, რომ ჩემპიონთა ლიგის ფავორიტებიც ვართ. არა მგონია, ეს მართლაც ასე იყოს. ასეთი აზრი მხოლოდ „ბაიერნის“ პრესტიჟს ეყრდნობა. სხვა პრეტენდენტებზე უკეთესი შესაძლებლობები არა გვაქვს. რაც შეეხება გერმანიის ჩემპიონატს, აქ მართლაც უკეთეს მდგომარეობაში ვართ, ვიდრე სხვა კონტურები. ამასთან, ისიც უნდა იცოდეთ, რომ ძალზე საზიანოა, როცა საკუთარ უძლეველობაში დარწმუნებას დაიწყებ.

● ***ამ ორი ტურნირიდან რომელს ანიჭებთ უპირატესობას?***

— პრიორიტეტი ქვეყნის ჩემპიონატს ეკუთვნის. ამასთან, ვფიქრობ, რომ ახლანდელი სეზონი ბუნდესლიგაში უფრო რთული იქნება, ვიდრე ადრინდელი. ძალზე სერიოზულად გაძლიერდა „ბორუსია“, თუმცა ერთ-ერთ მთავარ კონკურენტად ლევერკუზენის „ბაიერს“ ვთვლი, რომელიც ბოლო წლებში ძლიერ მეტოქეობას გვიწევდა.

● ***სეზონი წამყვანი მოთამაშეების გარეშე დაიწყეთ, გაკლდათ ჯოვანე ელბერი, შტეფან ეფენბერგი და იენს იერემიესი. როგორ მიახერხეთ ასეთი დანაკლისის დაძლევა?***

— გეთანხმებით, ძალზე ძნელია ასეთი დონის სამი მოთამაშის შეცვლა. მაგრამ უკვე ვთქვი, რომ „ბაიერნი“ კარგად არის დაკომპლექტებული. ყველა ადგილზე რამდენიმე კონკურენტია, თანაც ისეთი, ვინც შარშანდელ სეზონში შეთამაშდა. ეს საშუალებას გვაძლევს მოთამაშეთა ტრავმებმა მაინცდამაინც არ დაგვაფრთხოს.

● ***საყოველთაო აზრით, ბუნდესლიგის დონე ჩამოუვარდება იტალიისა და ესპანეთის ჩემპიონატებს. როგორია თქვენი აზრი ამის შესახებ?***

— ჩემი აზრით, ბუნდესლიგა დაახლოებით ისეთივე დონეზეა, როგორც იტალიისა და ესპანეთის ჩემპიონატები. მხედველობაში არა მაქვს ნაკრებები. ჩემპიონატის დონე ყველა მონაწილე გუნდის საშუალო კლასით არის განპირობებული. ამ მხრივ გერმანიის პირველობა სხვებისას არ ჩამოუვარდება. იტალიელების, ესპანელების, და, შეიძლება ითქვას, ინგლისელებისაც, ერთადერთი უპირატესობა — მეტი ფულია. ამ სამი ქვეყნის ჩემპიონატებში დიდი ფული ტრიალებს. რა თქმა უნდა, ძნელია ჩვენი შედარება „რეალსა“ ან „ლაციოსთან“. მართალია, მეტი წლიური ბიუჯეტი გვაქვს, მაგრამ თანხების რეალური ბრუნვა იტალიასა და ესპანეთში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. ასეთია ტრადიცია.

რით შეიძლება შევადაროთ „ბაიერნი“ წამყვან ესპანურ და იტალიურ კლუბებს? ეს გახლავთ ზეწოლა მწვრთნელზე კლუბის მეპატრონეთა მხრიდან. ვგრძნობ, რომ, უბრალოდ, „ვალდებული ვარ“ მოვიგო შეჯიბრება ჩემპიონთა ლიგაში.

● ***ერთი სიტყვით, ასეთი მიზანი დაისახეთ...***

— ჩემს ამოცანას ცოტა სხვანაირად გამოვხატავდი: „მინდა ფინალამდე მივიდეთ, როგორც მიმიხვდებოდით, ეს დაკავშირებულია 1999 წლის ფინალის შედეგთან, როცა ბოლო წამებში წავაგეთ „მანჩესტერ იუნაიტედთან“. ერთ მატჩში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. რაც არ უნდა იყოს, ფეხბურთი მაინც თამაშია.

● ***თქვენი გუნდი მთლიანად მზად არის იმისთვის, რომ უმაღლეს დონეზე გაიმარჯვოს.***

— ეს ძალზე რთული ტურნირია. აქ გასამარჯვებლად გუნდი ისე უნდა მოემზადოს, რომ მაქსიმალური მზადყოფნა სწორედ გადამწყვეტ მატჩებში ჰქონდეს. რაც შეეხება მოთამაშეებისა და მთლიანად გუნდის შესაძლებლობებს, იგი შეესაბამება კიდეც ამ მიზანს. 1999 წელს მშვენივრად ვიყავით მომზადებული, მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც წავაგეთ. „ბაიერნს“ არა ჰყავს შეუცვლელი მოთამაშეები. ჩვენი სათამაშო სისტემა უკვე ჩამოყალიბებულია, შეგვიძლია შევცვალოთ ესა თუ ის ფეხბურთელი, რომ ურთიერთმოქმედება არ შევასუსტოთ. უფრო მეტიც, ვფიქრობ, რომ შემსრულებლების მუდმივი როტაცია უფრო რგებს გუნდს.

● ***აქტიურად მონაწილეობთ კლუბის ყოველმხრივ საქმიანობაში. გრჩებათ კი დრო პირადი ცხოვრებისათვის?***

— ფეხბურთი ბიზნესი გახლავთ. მწვრთნელი კი მისი ერთ-ერთი მონაწილეა. ამასთან, საგნები ერთმანეთისაგან უნდა გამოვყოთ. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ოჯახისათვის ყურადღების მიქცევა. ჩემი ცოლი და შვილი, თავის მხრივ, ცდილობენ თავიანთი საქმეები ჩემსას შეუთანხმონ, რომ შეგვეძლოს ერთად დასვენება. დასვენებას, შვებულებას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს კარგად მესმის და ყოველთვის ვეხმარები ამ მხრივ ფეხბურთელებს, ვუგებ მათ. მათაც ხომ სჭირდებათ „ბატარეების ხელახლა დამუხტვა“. ასე მაგალითად, ბიქსენტ ლიზარაზიუმ, რომლისთვისაც სეზონი ივლისში დამთავრდა (ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობდა), შვებულების დამატებითი დრო მიიღო, თუმცა, ყველა სხვა მოთამაშემ უკვე დაიწყო სეზონისათვის მზადება.

● ***რას იტყვით ფეხბურთის მწვრთნელის პროფესიის შესახებ?***

— ეს ის პროფესიაა, სადაც შეცდომები მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი. უზადო უნდა ვიყო. მწვრთნელის თითოეული შეცდომა, განსაკუთრებით ისეთ კლუბში, როგორიც „ბაიერნია“, ადვილად შესამჩნევია და შეიძლება სერიოზულ შედეგებამდე მიგვიყვანოს. ერთადერთი კრიტერიუმი შედეგია. მწვრთნელის მუშაობა უამრავი რამისგან, უამრავი ნიუანსებისაგან შედგება, მაგრამ მას მხოლოდ შედეგების მიხედვით აფასებენ.

● ***იმ დროიდან მოყოლებული, როცა ჯერ კიდევ შვეიცარიაში დაიწყეთ მწვრთნელის საქმიანობა, შეიცვალა თქვენი შეხედულება ამ პროფესიაზე, თამაშზე?***

— დიდად არ შეცვლილა. უფრო მაღალ დონეზე, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო დიდ სტრესს განიცდი. რაც უფრო მაღალია შემსრულებელთა დონე, უფრო საპასუხისმგებლოა მწვრთნელის მუშაობა. ამასთან, ჩემი იდეები, ჩემი კონცეფცია, ჩემი სათამაშო ფილოსოფია, ადამიანების ხელმძღვანელობის ჩემი მანერა თითქმის არ შეცვლილა. როცა გუნდი მოქმედებს, მის ტონუსს უნდა შეუწყო ხელი, როცა პრობლემები გვექნება, მაშინ საჭიროა მისი მიზეზებისა და გამოსავლის ძებნა. ბუნებრივია, დრო გამოცდილებას გაძლევთ, შესაძლოა სიბრძნესაც კი. ვსწავლობ იმას, რომ ნაკლები შეცდომა მომივიდეს. ვაღიარებ, ახლა თავს გაცილებით უფრო თავისუფლად ვგრძნობ, ვიდრე კარიერის დასაწყისში, როცა საკუთარი ძალის ნაკლები რწმენა და გამოცდილება მქონდა. ეს თითქოს ბანალურად ჟღერს, მაგრამ შეადარეთ პასუხისმგებლობის დონე, მწვრთნელზე ზეწოლის დონე! ძალიან მომწონდა მუშაობა, როცა პრესინგს არ ვგრძნობდი. მაგრამ დღეისათვის შევეჩვიე პასუხისმგებლობის ტვირთს. იცით, ძალიან მომწონს რთულ სიტუაციებში აშშ-ს პრეზიდენტ ბილ კლინტონის ქცევის მანერა. როგორ იოლად „გაუსწორდა“ ჟურნალისტებს, როცა რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა. რაც შეეხება საზოგადო ქცევის მანერას, ყოველთვის ვცდილობ კლინტონს მივბაძო.

● ***წელს „ბაიერნს“ არსებობის ასი წელი შეუსრულდა. შეიძლება თქვენი კლუბი ლეგენდარულად ჩაითვალოს?***

— კლუბმა სავსებით დაიმსახურა ადგილი „რეალისა“ და „მილანის“ გვერდით. „ბაიერნმა“ 16-ჯერ გაიმარჯვა გერმანიის პირველობაზე და გაიმარჯვა ყველა ევროპულ თასზე.

● ***როგორ მოახერხეთ იმ პერიოდის დაძლევა, როცა „ბაიერნს“ „ეფ ჰოლივუდს“ უწოდებდნენ. მხედველობაში ჰქონდათ ჭირვეული ვარსკვლავების მოქმედება?***

— არასდროს არც ერთ ფეხბურთელთან სერიოზული პრობლემა არ მქონია. თითოეულ მათგანთან უშუალო ურთიერთობა მაქვს. როცა რამე მაქვს მათთან სათქმელი, ვეუბნები კიდეც. ფეთქებადი ხასიათი კი მაქვს, მაგრამ ფეხბურთელებთან მომთმენი ვარ. სანამ რაიმე გადაწყვეტილებას მივიღებდე, ჯერ სხვებს მოვეთათბირები ხოლმე. ვაფასებ სიტუაციას, პაუზას ვაკეთებ. წავიდა ის დრო, როცა ვარსკვლავები ჭირვეულობდნენ. ერთხელ კიდევ ვიმეორებ, „ბაიერნში“ თითოეულ ადგილზე რამდენიმე პრეტენდენტია. ის, ვისი მზადყოფნაც უკეთესია, გამოდის კიდეც მინდორზე. ამიტომ ამა თუ იმ ფეხბურთელს არასოდეს ვასახელებთ ძირითადი შემადგენლობის მოთამაშედ, [illegible] რა მიღწევები, სტატუსი და ხელფასი აქვს. ისე რომ, „[illegible]“ [illegible].

● ***ასეთი მიდგომა უარყოფითად ხომ არ მოქმედებს ფეხბურთელებზე, ხომ არ ბადებს მათში თავიანთ ძალებში დაურწმუნებლობის გრძნობას?***

— არა, იმიტომ, რომ ყველას აქვს თავის გამოჩენის შესაძლებლობა. იგი მოთამაშემ, როგორც პროფესიონალმა კარგად უნდა გამოიყენოს. თითოეულს უნდა შეეძლოს იყოს სათადარიგო მოთამაშე, ამავე დროს მოემზადოს იმ მომენტისათვის, როცა მინდორზე გამოვა და აჩვენებს ყველაფერს, რაც კი შეუძლია. ყველაფერს ვითვალისწინებ: იმ განწყობილებას, რომლითაც მოთამაშე ვარჯიშობს, როდის გამოჩნდება ხოლმე იგი საწვრთნელ ბაზაზე, იმასაც, როგორ აძლევს ავტოგრაფებს გულშემატკივრებს. დიახ, დიახ, ამითაც შეიძლება ფეხბურთელის მდგომარეობის გამორკვევა. საერთოდ კი, ძალიან შემწყნარებელი ვარ. ერთადერთი, რასაც ვერ ვიტან, ეს არის ის, რომ ვინმე კოლექტივისადმი უპატივცემლობას იჩენს. ამან შეიძლება მოთმინებიდანაც კი გამომიყვანოს. გარდა ამისა, მეზიზღება რასიზმის გამოვლინება. „ბაიერნში“ ძალიან ბევრი საზღვარგარეთელი მოთამაშეა და ეს ძალიან კარგია. ეს ფეხბურთელებს აჩვევს ადამიანების პატივისცემას, იმის მიუხედავად, თუ რომელ ეროვნებას მიეკუთვნებიან ისინი. ჩემი ფილოსოფია ასეთია: უნდა აღიქვა, პატივი უნდა სცე სხვებს, მხოლოდ ასეთნაირად მოახერხებ შენი შესაძლებლობების რეალიზაციას.

● ***რას ფიქრობთ გერმანიის ნაკრების თამაშზე ევრო-2000-ზე და ერიხ რიბეკის მუშაობაზე?***

— ამ კითხვის კომენტარზე თავს შევიკავებ.

● ***და მაინც, ზოგ ინტერვიუში თქვენ აცხადებდით ნაკრებში ახალგაზრდა მოთამაშეების აუცილებლობას.***

— დიახ, ეს ასეა. მაგრამ არ მსურდა ბუნდესტრენერისათვის რაიმე რჩევა მიმეცა. ის კი მინდოდა მეთქვა, რომ საჭიროა პერსპექტიული მოთამაშეებისათვის დახმარების ხელის გაწვდენა. ეს მთელ გერმანულ ფეხბურთს არგებს.

**მოამზადა ბივი თორელმა**

# პალერმო: „ახლა კი დროა, ევროპისაკენ ავიღოთ გეზი“

**მარტინ პალერმოს არგენტინაში „ბოკა ხუნიორსის“ „გიჟ თავდამსხმელს“ უწოდებენ. თუ მან იაწყვიტა... ერთი წლის წინათ მისი გადაბირება ბევრ ევროპულ კლუბს სურდა, მაგრამ...**

პალერმომ იმდენად რთული ტრავმა მიიღო, რომ ერთ წელზე მეტი დრო დაკარგა. ჯერ ფიქრობდნენ, მისი აღდგენითი პერიოდი 8 თვეს გასტანდა, მაგრამ ამდენი არ დასჭირდა. მარტინმა ხუთთვენახევარში დაიწყო მსუბუქი ვარჯიში, ნელ-ნელა, ნელ-ნელა და...

ახლა პალერმო ათი გატანილი გოლით არგენტინის ჩემპიონატის ერთ-ერთი სნაიპერია. ასეთივე მაჩვენებლები აქვს პერეირას („გიმნასია ი ესგრიმა“), ფარიასს („ესტუდიანტესი“), ანხელს („რივერ პლეიტი“) და რომეოს („სან-ლორენსო“). „ბოკა ხუნიორსის“ გულშემატკივრები დარწმუნებული არიან, რომ მათი გოლეადორი ყოველგვარ მეტოქეს ჩამოიტოვებს.

არგენტინელებს კი დაუბრუნდა ძალების რწმენა და იმედი, არა და ევროპელებს თითქმის ავიწყდებოდათ იგი. მან „ძველ კონტინენტსაც“ გაახსენა, რომ ყველაზე უკეთ შეუძლია გოლების გატანა. მართალია, ეს ევროპაში კი არ მომხდარა, არამედ ტოკიოს ეროვნულ სტადიონზე, საკონტინენტთაშორისო თასზე, მადრიდის „რეალის“ წინააღმდეგ, 52511 მაყურებლის დასწრებით. მისმა ორმა გოლმა მეორე და მეექვსე წუთებზე, ფაქტობრივად, გასტეხა „რეალი“, რომელმაც მხოლოდ ერთი საპასუხო გოლის გატანა მოახერხა.




საინტერესოა, რომ მარტინ პალერმოს დიდი გულშემატკივარია არგენტინის პრეზიდენტი ფერნანდო დე ლა რუა. მისთვის პალერმო იგივეა, რაც თავის დროზე, პრეზიდენტ მენემისათვის მარადონა იყო, რომელსაც ყველაფერი აპატია. ასეა, დროს ახალი კერპების კულტი მოაქვს. რათა პალერმოს თამაშისათვის ეყურებინა, პრეზიდენტმა დე ლა რუამ გადადო ყოველგვარი კრებები და თათბირები, სახელმწიფო საქმეები და ორი საათით ტელევიზორისათვის არ მოუშორებია თვალი.

ეს კია, რომ ყველა, ასე თუ ისე, გამოჩენილი არგენტინელი ფეხბურთელი, ბოლოს და ბოლოს, ევროპაში გადადის, ძირითადად იტალიაში ან ესპანეთში. ასე იყო, როცა იტალიური წარმოშობის ალფრედო დი სტეფანო ესპანეთში აღმოჩნდა, ასევე იტალიური ფესვების მქონე ენრიკე ომარ სიკორი წინაპრების სამშობლოში. იგივეს გააკეთებს მარტინ პალერმოც, რომელიც სწორედ იტალიაში აპირებს გადაბარგებას.

აი, რა განაცხადა მან ჯერ კიდევ მადრიდის „რეალთან“ შეხვედრის წინ:

— უკვე მზად ვარ იმისათვის, რომ, ბოლოს და ბოლოს, ევროპაში მქონდეს დებიუტი, მაგრამ სანამ „ბოკა ხუნიორსს“ გამოვეთხოვებოდე, მინდა მის გულშემატკივრებს საკონტინენტთაშორისო თასი ვაჩუქო, ჯილდო, რომელიც მას უკვე ოც წელიწადზე მეტია, არ მოუპოვებია.

ისე თქვენ აგიხდეთ ყოველივე კარგი, როგორც ეს მარტინ პალერმოს აუხდა!

მაშ ასე, გაივლის რამდენიმე ხანი და პალერმო ერთ-ერთ ევროპულ კლუბში აღმოჩნდება. აი, ჯერჯერობით ის კი არ ვიცით, რომელში! პრეტენდენტი, უნდა ვიფიქროთ, ზომაზე მეტი იქნება!

**ბივი თორელი**

**მინიფეხბურთი**

# ეს რკინისნერვებიანი ესპანელები

**გვატემალაში დასრულდა მსოფლიო ჩემპიონატი მინი-ფეხბურთში. ტურნირის ბოლო დღეს მინდორზე ჯერ მესამე ადგილის მაძიებელნი — პორტუგალიისა და რუსეთის გუნდები გამოვიდნენ. პირველი ტაიმი სლავებმა მოიგეს — 2-0. აი, მეორეში კი პორტუგალიელებმა ხელთ იგდეს უპირატესობა, რაც მათ მიერ გატანილ ოთხ გოლში გამოისახა. 4-2 — ასეთია მატჩის საბოლოო შედეგი.**

**გადამწყვეტი, ფინალური მატჩი ესპანეთისა და ბრაზილიის ნაკრებებს შორის ტურნირის მშვენება გამოდგა და იგი უთუოდ ევროპელების მწვრთნელმა ხავიერ ლოსანომ მოიგო. მან თავისი გუნდის თამაში კონტრშეტევებზე ააგო. კვლავ შეუდარებელი იყო ესპანელთა მეკარე ხესუსი, მაგრამ გარდამტეხი მაინც გამოდგა პირველი ტაიმის მიწურულს ხავი სანჩესის მიერ გატანილი გოლი: მაშინ, როცა ანგარიში 1-1 იყო, ესპანელმა ჰაერში „დაიჭირა“ ბურთი და ერთი შეხებით გადაგზავნა მეტოქის კარის ბადეში. შესვენების შემდეგ ბრაზილიელები გააქტიურდნენ და ტურნირის რჩეული ბომბარდირის გარჯის წყალობით ანგარიშიც წაიყვანეს — 3-2. აი აქ კი ესპანელმა შესაშური ნებისყოფა გამოავლინეს და ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, შემდეგ კი მატჩის დასრულებამდე ნახევარი წუთით ადრე გადამწყვეტი გოლიც გაიტანეს, 4-4 მათ სასარგებლოდ. ესპანეთი ჩემპიონია!**

# სპორტული პლანეტა

## დღეს მელოუნი ჩემბერლენს გადაასწრებს!

კალათბურთი

დიახ, ნამდვილად ასეა — „იუტა ჯაზის" რჩეული სნაიპერი კარლ მელოუნი, რომელმაც თავის სპორტულ კარიერაში 31411 ქულა მოაგროვა, სახელგანთქმულ უილტ ჩემბერლენს გადაასწრებს და ნბა-ს ყველაზე შედეგიან კალათბურთელთა შორის მეორე საფეხურზე დამკვიდრდება. დღემდე კი „ფოსტალიონი" ჩემბერლენს მხოლოდ 8 ქულით ჩამორჩება. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ წლევანდელ სეზონში მელოუნი საშუალოდ ერთ მატჩში 23,2 ქულას აგროვებს, დღეს „იუტა" „ტორონტოს" შეხვედრაში 37 წლის კალათბურთელი ჩემბერლენის შედეგს გადაუსწრებს.

რაც შეეხება ნბა-ს ისტორიაში ყველაზე შედეგიან კალათბურთელს, იგი კვლავ რჩება ლეგენდარული ქარიმ აბდულ-ჯაბარი, რომელიც მელოუნს 6776 ქულით უსწრებს.



კარლ მელოუნი

## ტრინიდადმა ყველაზე ძნელი ბრძოლა მოიგო თავის კარიერაში

პროფესიული კრივი

პუერტორიკოელმა ფელიქს ტრინიდადმა ბოლო მეთორმეტე რაუნდში სძლია ამერიკელ მოკრივეს ფერნანდო ვარგას პირველ ქვესაშუალო წონაში მსოფლიო პირველობაზე IBF-ის ვერსიით. თუმცა, მატჩის დაწყებიდან წუთიც არ იყო გასული, ვარგასი ორჯერ ჩააგდო მეტოქემ ნოკდაუნში. მიუხედავად ამისა, ამერიკელმა გაუძლო და მეოთხე რაუნდში თავად გაგზავნა ნოკდაუნში ტრინიდადი. ცნობილი პუერტორიკოელი ამის შემდეგ უფრო გახელდა და ექვი ალარავის დაუტოვა თავის სიძლიერეში.

მეთორმეტე რაუნდის 29 წამი მიიწურა, როცა ტრინიდადმა მარცხენა ჰუკით მოცელა მეტოქე, ვარგა სწრაფად წამოდგა, მაგრამ უმალვე მიიღო ანალოგიური დარტყმა, მატჩის დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე კი კვლავ ნოკდაუნი იწვნია. მსაჯმა ჯეი ნადიმ ორთაბრძოლა აქ შეწყვიტა. ეს იყო 27 წლის ტრინიდადის ოცდამეთორმეტე გამარჯვება საერთო ანგარიშით 39:0. ვარგასმა კი 20 ბრძოლის მოგების შემდეგ პირველად წააგო.

ორთაბრძოლა საერთოდ უხეშად წარიმართა. ტრინიდადს ორი, ვარგას კი ერთი ქულა ჩამოაკლეს წელსქვემოთ დარტყმისთვის.

„მეგონა, ნოკაუტში ჩავაგდებდი. ეს იყო ყველაზე ძნელი ბრძოლა ჩემს კარიერაში" — თქვა მატჩის შემდეგ გამარჯვებულმა.

დავძენთ, რომ ტრინიდადი „დასპეციალდა" ამერიკელებთან ჩხუბში. მანამდე მასთან მატჩები წააგეს ცნობილმა ამერიკელმა მოკრივეებმა პერნელ უიტაკერმა, ოსკარ დე ლა ხოიამ და დევიდ რეიდმა.

ტრინიდადი მსოფლიო ჩემპიონი გახდა IBF-ის ვერსიით და 4 მილიონი დოლარი მიიღო, ვარგას ორი მილიონი ერგო.



ტრინიდადი

## ჯონსონი მიდის...



„მინდა სარბენ ბილიკს გამარჯვებული გამოვეთხოვო" — ასეთი განცხადება გააკეთა ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიოს რეკორდსმენმა 400 მ რბენაში ამერიკელმა მაიკლ ჯონსონმა. დიდ სპორტთან გამომშვიდობებას ეს სახელოვანი მძლეოსანი უახლოეს მომავალში აპირებს. ასე რომ, იგი მონაწილეობას ვერ მიიღებს 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში, რომლის ჩატარება დაგეგმილია კანადის ქალაქ ედმონტონში.



## მაიერი კვლავ პირველია

სამთომთხილამურეობა

მსოფლიო თასი

აშშ-ს ქალაქ ვეილეში დასრულდა მსოფლიო თასის ეტაპი სუპერგიგანტურ სლოლომში. მისმა შედეგებმა ვერ იმოქმედა ავსტრიელი ხერმან მაიერის სალიდერო მდგომარეობაზე. მსოფლიო თასის საერთო ჩათვლაში მაიერმა 416 ჩასათვლელი ქულა მიიღო. იგი 45 ქულით უსწრებს მეორე პოზიციაზე მყოფ ნორვეგიელ ლასე კიუს.

***საერთო ჩათვლა (7 ეტაპის შემდეგ):*** 1. ხერმან მაიერი (ავსტრია) – 416 ქულა, 2. ლასე კიუსი (ნორვეგია) – 371, 3. შტეფან ებერხარტერი (ავსტრია) – 329, 4. ფრედრიკ ნიუბერგი (შვედეთი) – 261, 5. ჩეთილ-ანდრე ომოტი (ნორვეგია) – 195, 6. იოზეფ შტრობლი (ავსტრია) – 182, 7. ანდრეას შიფერერი (ავსტრია) – 178, 8. მაიკლ ფონ გრონინგენი (შვეიცარია) – 168.

## მორბენლის ფერისცვალება

მძლეოსნობა

ცნობილი მძლეოსანი ლიუდმილა ნაროჟილენკო-ენკვისტი, რომელიც ადრე რუსეთის სახელით გამოდიოდა, ახლა კი შვეციის მოქალაქეა (მოპოვებული აქვს მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონობა 100 მეტრზე თარჯრბენში), ოცნებობს მოიგოს ოლიმპიური მედალი... ბობსლეისტთა ასპარეზობაში.

მან წლევანდელ ოლიმპიადამდე შეწყვიტა სარბენ ბილიკზე გამოსვლა აქილევსის მყესის მძიმე ოპერაციის გამო. მაგრამ დიდი სპორტის მიტოვებას არ აპირებს და ცხადჰყო, რომ მისი გადაწყვეტილება სრულიად რეალურია. ენკვისტმა მეწყვილე სანდსტრემთან ერთად ნორვეგიის ქ. ლილეჰამერის ბობსლეის ოლიმპიური ტრასა დააჭაშნიკა და საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა პირველ სტარტზე.

ენკვისტმა 1998 წელს ავთვისებიანი სარძევე ჯირკვლის სიმსივნე ამოკვეთა, რითაც დიდი ნებისყოფა და სიმამაცე გამოავლინა, რის შემდეგაც დაუბრუნდა სარბენ ბილიკს და 1999 წელს, მსოფლიო პირველობაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. და აი, ახლა სპორტსმენმა კვლავ გამოწვევა გამოუცხადა, პირველ ყოვლისა, საკუთარ თავს, ახალი წინალობა დაისახა, რომლის დაძლევა სურს.

„მინდა გავხდე პირველი ქალი მსოფლიოში, რომელიც როგორც ზაფხულის, ასევე ზამთრის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლებს მოიპოვებს", — განაცხადა მან ლილეჰამერში.

აღსანიშნავია, რომ ბობსლეის ქალთა სახეობა ახლა იწყებს განვითარებას, და ამ სეზონში გაიმართება მსოფლიო თასის პირველი გათამაშება. სპორტის ახალ სახეობაში კი ფავორიტების დასახელება ძნელია. ამიტომაც ლაპარაკობს მძლეოსანი ასე გაბედულად მის შესაძლო წარმატებაზე სოლტ-ლეიკ-სიტში, სადაც ქალთა ბობსლეის დებიუტი შედგება თეთრ ოლიმპიადაზე.

ლ. ენკვისტს მისი მეუღლე იუხანი წვრთნის.

წყვილში პილოტად იქნება არანაკლებ ამბიციური სპორტსმენი სანდსტრემი. საინტერესოა ისიც, რომ შვეციაში საერთოდ არაა კულტივირებული ბობსლეი და იქაური სპორტსმენები არ გამოსულან ბოლო ოლიმპიადასა და მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპებზე.

და კიდევ, ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში ერთმა სპორტსმენმა შეძლო ოქროს მედლების მოპოვება ზამთრისა და ზაფხულის თამაშებში. ეს იყო ამერიკელი ედვარდ იგანი, რომელმაც 1920 წლის თამაშებში გაიმარჯვა კრივში, ხოლო 1932 წლის ოლიმპიადაზე „ბობ-კვარტეტის" ეკიპაჟის შემადგენლობაში.




***სურათზე:*** *ლიუდმილა ნაროჟილენკო-ენკვისტის „ბოლო თარჯები".*

## კენიელთა ფენომენის საიდუმლო

მთელმა მსოფლიომ იცის, რომ კენიელებს ბადალი არ ჰყავთ გრძელ მანძილებზე რბენაში. რა განაპირობებს კენიელთა ამ ფენომენს? ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად დანიელმა მეცნიერებმა წელიწადნახევარი გაატარეს აფრიკის ამ ქვეყანაში და გამოწვლილვით შეისწავლეს კონკრეტულად ქ. ელდორეტეს მორბენლების ფუნქციური შესაძლებლობები. სწორედ ამ ქალაქის სპორსტმენებმა გაუთქვეს სახელი კენიას.

მეცნიერულმა კვლევამ დაადასტურა, რომ იქაურ შავკანიანებს, ევროპელ თეთრკანიანებთან შედარებით, ბევრად შენელებული მაჯისცემა აქვთ. ეს განსხვავება მკვლევარებმა კლიმატით და საცხოვრებელი პირობებით ახსნეს. ქ. ელდორეტი ზღვის დონიდან 2130 მეტრზე, რაც ხელს უწყობს სისხლში წითელი ბურთულების გამომუშავებას, რისთვისაც სხვები დოპინგს იყენებენ. ამასთან, კენიელთა ნაბიჯის სიგრძე ევროპელებისაზე გაცილებით დიდია.




## ბივოტმა პირველი მილანური მარათონი მოიგო

კენიელი სტაიერი საიმონ ბივოტი გახდა პირველი მილანური მარათონის გამარჯვებული. მან მანძილი 2 საათსა, 8 წუთში და 59 წამში დაფარა. მეორე ადგილზე გასული იტალიელი რობერტო ბარბი მას 3 წუთით და 3 წამით ჩამორჩა. მესამე შედეგი აჩვენა ბრაზილიელმა ელიაშ ბასტუშმა.

ქალებში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა ტრასის მასპინძელმა ლუჩია ანდრეუჩიმ.



ჩოგბურთი

# ბრავო, გუგა! შენ მართლაც შეუდარებელი იყავი!

***Masters Cup. ფინალი. გუსტავო კუერტენი (ბრაზილია, 2) – ანდრე აგასი (აშშ, 8) – 6:4, 6:4, 6:4.***



კუერტენი

ლისაბონში დამთავრდა მსოფლიოს არაოფიციალური პირველობა ჩოგბურთში ვაჟთა შორის 8 უძლიერესი ოსტატის მონაწილეობით.

დასაწყისში მონაწილეები ორ ჯგუფად დაყვეს: „წითელ ჯგუფში" თამაშობდნენ პიტ სამპრასი (აშშ), მარატ საფინი (რუსეთი), ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) და ალექს კორეტჯა (ესპანეთი). „მწვანე ჯგუფში" კი გუსტავო კუერტენი (ბრაზილია), ანდრე აგასი (აშშ), ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) და მაგნუს ნორმანი (შვეცია).

დებულების თანახმად, ჯგუფური წინასწარი შეჯიბრების შემდეგ, სადაც მონაწილეები სამ მატჩს ატარებდნენ, ორი უძლიერესი ნახევარფინალში გადიოდა. „წითელი ჯგუფიდან" ბრძოლა გააგრძელეს სამპრასმა და საფინმა, ხოლო „მწვანე ჯგუფიდან" აგასიმ და კუერტენმა.

შაბათს, ნახევარფინალში აგასიმ სძლია საფინს, ხოლო კუერტენმა — სამპრასს. აბა, ვინ წარმოიდგენდა, რომ ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი, ანუ, უბრალოდ, „გუგა", როგორც მას სიყვარულით ეძახიან, რუს მარატ საფინს მსოფლიოს პირველი ჩოგნის ტიტულს ზედ ცხვირწინ ააცლიდა. ეს კი მან შეძლო, Masters-ის დასკვნით ტურნირში, ლისაბონში რომ გაიმართა.

ანდრე აგასიმ, კერკეტმა კაკალმა ყველაფერი იღონა, რათა ბრაზილიელი დაემარცხებინა, მაგრამ „გუგამ" აუღელვებლად, მეთოდურად გარდასახა თავისი უპირატესობა. მან მეტოქის ჩაწოდება პირველივე გეიმში აიღო და პარტიაც თავის სასარგებლოდ დაამთავრა — 6:4. მეორე და მესამე სეტშიც ისტორია განმეორდა. კუერტენმა ყველა თავისი ჩაწოდება მოიგო და ყოველ პარტიაში აგასის თითოც მიითვალა — 6:4, 6:4 და... ბრაზილიელმა გამარჯვების ყიჟინა დასცა. პირველი, ვინც მას მიულოცა, იყო ყველაზე დიდი ქომაგი — დედამისი.

ამრიგად, პირველის საჩემპიონო რბოლა ATP-ტური დამთავრდა კუერტენის გამარჯვებით — 839 ქულა, 15-ით ნაკლები დააგროვა საფინმა, შემდეგ მოდიან პიტ სამპრასი, მაგნუს ნორმანი, ევგენი კაფელნიკოვი.

ველო

# ლონგომ კვლავ დაამუხრუჭა

**როგორც გამოცხადებული იყო, ქალთა საათიანი რბოლის მსოფლიო რეკორდზე ორგზის წარუმატებელი იერიშის შემდეგ ლეგენდარულ ფრანგ ველოსიპედისტ, 42 წლის ჟანი ლონგოს ევროპაში უნდა დაესვენა. ძალა მოეკრიბა მორიგი ცდისათვის, რომელიც იქვე, მეხიკოს ოლიმპიურ მაღალმთიან ტრეკზეა 2001 წლის თებერვლისთვის დაგეგმილი. მაგრამ არ მოინდომა მერმისისათვის გადაედო თავისი განზრახვა და ისევ სცადა მიღწევისათვის შეეტია, თუმცა კვლავ შეწყვიტა რბოლა, ამჯერად მე-9 კმ-ის შემდეგ, რომელიც 11 წუთსა და 56, 89 წამში (საშუალო სიჩქარე — 45,245 კმ/საათი) განვლო — საბურავი დაეშვა მე-17 წრეზე, ოლიმპიური ტრეკის სიგრძე 333,3 მ), შეგახსენებთ, მსოფლიოს რეკორდი, რომელიც ლონგომ 5 ნოემბერს მექსიკაში დაამყარა, უდრის 44 კმ. 747 მ-ს. მრბოლი დაბრუნდა საფრანგეთში. მორიგ ცდას იგი, როგორც ითქვა, გაისად მექსიკაში გამართავს.**

# ლეგენდარული სტაიერი მარადისობაში გადავიდა

**ჩეხიის ქალაქ პრაღაში გარდაიცვალა 78 წლის, ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 40-50-იანი წლების მსოფლიოში პოპულარული სტაიერი ემილ ზატოპეკი. ექიმებს გაუჩნდათ ეჭვი, რომ მას ტვინში სისხლი ჩაექცა, ავადმყოფი სამი კვირა ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში იწვა კრიტიკულ მდგომარეობაში.**



**ზატოპეკს უნიკალური მიღწევები ჰქონდა და საეჭვოა, რომ ვინმემ გაიმეოროს. 1952 წლის ოლიმპიურ თამაშებში გაიმარჯვა 5000 და 10 000 მეტრებზე რბენასა და მარათონში, სამივე მანძილზე მსოფლიო რეკორდები დაამყარა, იყო წინა, 1948 წლის თამაშების ჩემპიონი 10 000 მეტრზე რბენაში.**

**მის აქტივშია, აგრეთვე 18 მსოფლიო რეკორდი და ორი ევროპის ჩემპიონის ტიტული.**

# ტოტო ლოტო №47 ტირაჟის შედეგები 2-3. 12. 2000

**ლოტო 6-42: 4 17 22 26 29 35**

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 რიცხვი | 0 x | 1948.60 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 5 რიცხვი | 0 x | 1132.90 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 4 რიცხვი | 10 x | 16.00 ლარი | |
| 3 რიცხვი | 149 x | 1.80 ლარი | |

**სუპერ 7: 3 5 4 6 3 9 6**

| | | | |
|---|---|---|---|
| 3546396 | 50,000 ლარი | 396 | 50 ლარი |
| 546396 | 15,000 ლარი | 96 | 3 ლარი |
| 46396 | 5,000 ლარი | 6 | 0.50 ლარი |
| 6396 | 500 ლარი | | |

**ტოტო ფეხბურთი: 2 1 1 X 1 2 1 1 2 X 2 X**

**12 მატჩი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 შედეგი | 0 x | 8504.40 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 11 შედეგი | 0 x | 3286.90 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 10 შედეგი | 0 x | 716.00 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |

48-ე ტირაჟის პროგრამა (9-10. 12. 2000)

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | ინგ. | ჩარლტონი – მანჩესტერ იუნ. | 20-20-60 |
| 2. | ინგ. | საუთჰემპტონი – ლიდსი | 20-40-40 |
| 3. | ინგ. | ვესტ ჰემი – ასტონ ვილა | 30-40-30 |
| 4. | იტ. | ბარი – ბოლონია | 20-20-60 |
| 5. | იტ. | ვიჩენცა – ლაციო | 20-30-50 |
| 6. | იტ. | რეჯინა – ვერონა | 30-40-30 |
| 7. | გერ. | ლევერკუზენი – ჰერტა | 50-30-20 |
| 8. | გერ. | კაიზერი – ბაიერნი | 30-30-40 |
| 9. | გერ. | შალკე – შტუტგარტი | 50-30-20 |
| 10. | ესპ. | რასინგი – ალავესი | 20-20-60 |
| 11. | ესპ. | დეპორტივო – რაიო ვალეკანო | 50-30-20 |
| 12. | ესპ. | ნუმანსია – სარაგოსა | 40-30-30 |

**ტოტო ფეხბურთი: 1 1 2 1 1 X 1 1 1 1 X**

**11 მატჩი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 შედეგი | 0 x | 0.00 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 10 შედეგი | 0 x | 0.00 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 9 შედეგი | 0 x | 0.00 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |

48-ე ტირაჟის პროგრამა (9-10. 12. 2000)

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | გერ. I | კაიზერი – ბაიერნი | 30-30-40 |
| 2. | გერ. I | ლევერკუზენი – ჰერტა | 50-30-20 |
| 3. | გერ. I | შალკე – შტუტგარტი | 50-30-20 |
| 4. | გერ. I | მიუნხენ 1860 – ჰანზა | 40-30-30 |
| 5. | გერ. I | ფრაიბურგი – ბოხუმი | 40-30-30 |
| 6. | გერ. I | დორტმუნდი – უნტერხახინგი | 50-40-10 |
| 7. | გერ. I | ვერდერი – კიოლნი | 40-30-30 |
| 8. | გერ. I | ჰამბურგი – კოტბუსი | 50-30-20 |
| 9. | გერ. II | არმინია – ქემნიცი | 40-30-30 |
| 10. | გერ. II | ნიურნბერგი – ალემანია | 50-30-20 |
| 11. | გერ. II | მიონხენგლადბ. – ფიურტი | 40-30-30 |

# სპორტული ლოტო №11 ტირაჟის შედეგები 3. 12. 2000

| სვლა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მოთამაშე რიცხვები | 20 | 4 | 11 | 1 | 14 | 7 | 5 | 8 | 23 | 9 |
| სვლა | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| მოთამაშე რიცხვები | 21 | 3 | 22 | 10 | 24 | 13 | 19 | 15 | 2 | 16 |
| მოგებული თანხა | | 10,000 ლარი | 1,000 ლარი | 100 ლარი | 50 ლარი | 10 ლარი | 5 ლარი | 2 ლარი | 1 ლარი | 2 ბილეთი |

გაუთამაშებელი რიცხვები: 6 12 17 18

მოუგებელი ბილეთებიდან გამოვლენილი გამარჯვებულები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი ტირაჟის ტელე-თამაშში:

თამარ ინასარიძე (გორი) — ზოია სკრილი (თბილისი)

ლიანა გაბელაია (თბილისი) — თამაზ ჩაკაძე (რუსთავი)

ჭადრაკი

# მარცხიანი დღე

დელიში მიმდინარე საჭადრაკო მსოფლიო ჩემპიონატზე ფიდეს ვერსიით ქალებმა კვირას მესამე რაუნდის პირველი პარტიები გაითამაშეს. ნანა იოსელიანი დამარცხდა რუმინელ კორინა პეპტანთან. ასევე წარუმატებელი იყო ეს დღე ქეთევან კახიანი-გერშინსკაიასთვის, რომელიც გერმანიის სახელით გამოდის. მან წააგო ჩინელ ცინ კანინთან.

სხვა შედეგები: ელენე ზაიაცი (რუსეთი) — სე ძიუნი (ჩინეთი) — 0,5:0,5; ნატალია ჟუკოვა (უკრაინა) — სიუ იხუა (ჩინეთი) — 0,5:0,5; ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი) — ტატიანა ვასილევიჩი (უკრაინა) — 0,5:0,5; იულია დიომინა (რუსეთი) — პენ ჯაოცინი (ჩინეთი) — 0:1; ალისა გალიამოვა (რუსეთი) — ალმი სკიპჩენკოლოტიე (მოლდოვა) — 1:0; ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა) — ალისა მარიჩი (იუგოსლავია) — 0,5:0,5.

მარცხიანად დაიწყო მესამე რაუნდი ზურაბ აზმაიფარაშვილმაც, რომელმაც წააგო აშშ-ს სახელით მოასპარეზე ბორის გულკოსთან, მომდევნო პარტიაში კი, მასთან ყაიმით დაასრულა 0,5:0,5 და ასპარეზობას გამოეთიშა.

**გუშინ, ნანა იოსელიანისა და კორინა პეპტანის მეორე პარტია ყაიმით დასრულდა. ამრიგად, ჩვენი მოჭადრაკე მეოთხედფინალის მიღმა დარჩა. ასევე ვერ გავიდა შემდეგ ეტაპზე ქეთევან კახიანი, რომელიც ჩინელ მოჭადრაკესთან მხოლოდ ფრეს დასჯერდა. სხვა წყვილებიდან წარმატებას მიაღწიეს ჩინელებმა სე ძიუნმა, პენ ჯაოცინმა, რუსმა ეკატერინა კოვალევსკაიამ, იუგოსლავმა ალისა მარიჩმა, მოლდოველმა ალმი სკრიპჩენკო-ლოტიემ. დამატებითი შეხვედრა გაიმართება სიუ იხუასა (ჩინეთი) და ნატალია ჟუკოვას (უკრაინა) შორის.**

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**5 დეკემბერი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგა: „არსენალი" – „ბაიერნი" (23.40) და მიმოხილვა (2.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***НТВ.*** ჩემპიონთა ლიგა: „ოლიმპიკი" – მოსკოვის „სპარტაკი" (23.35), ***НТВ плюс футбол.*** საფრანგეთის (13.15), გერმანიის (16.30), ინგლისის (17.30, 21.40), ბრაზილიის (19.55, 21.40), ესპანეთის (22.35) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ჩემპიონთა ლიგა (23.35, 1.50). ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი. ფიდე-ს ჩემპიონატი, ***ESPN.*** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (10.30), ინგლისის პრემიერლიგა: „მანჩესტერ სიტი" – „ჩელსი" (12.30), „ევერტონი" – „სანდერლენდი" (20.00), ***EUROSPORT.*** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (13.00), ფეხბურთი. გერმანიის თასი (16.30), ბიატლონი. მსოფლიო თასი (18.00), მოტორბოლა. მსოფლიო პირველობა გამძლეობაზე (23.00), საბრძოლო ხელოვნება (2.00).

**6 დეკემბერი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგა: „დეპორტივო" – „მილანი" (23.40) და მიმოხილვა (2.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (11.50, 20.00), ***НТВ.*** ჩემპიონთა ლიგა: „დეპორტივო" – „მილანი" (23.35), ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა (13.15, 15.00, 18.05, 20.30, 23.35, 1.50), ინგლისის (17.10), ბრაზილიის (20.00) იტალიის (22.40) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატი (11.40), ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა, ვაჟები (18.55), კალათბურთი. ევროლიგა (20.50), საპარაშუტო სპორტი (23.35), ***ESPN.*** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი (10.30), ჩემპიონთა ლიგა (17.30, 20.00, 0.00, 2.30), ***EUROSPORT.*** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (16.00) ჩრდილოეთის კომბინაცია. მსოფლიო თასი (18.00), სპორტული ავტომობილების რბოლა. მსოფლიო თასი (20.00).

**7 დეკემბერი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** ავტოსპორტი (20.50), ***რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (15.15), ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა (13.15, 15.00, 16.45, 19.20, 21.20, 23.30), ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (1.15), ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ევროლიგა (15.45, 21.25), საპარაშუტო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი (18.30), ***ESPN.*** ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგა (16.30, 20.00) ინგლისის პრემიერლიგა, მიმოხილვა (22.00), ***EUROSPORT.*** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (22.30), ფეხბურთი. უეფას თასი (23.30).

# კროსვორდი №95



**თარაზულად:** 5. ხარისხი კარატეში, 7. ცურვის სტილი, 8. ვანის საფეხბურთო კლუბი, 11. საწყლოსნო სპორტის იარაღი, 12. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი (აბრევიატურა), 13. ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 16. სამხრეთკორეელი ფეხბურთელი, 17. ჭადრაკში კოეფიციენტების ცხრილის ავტორი, 18. 50-იანი წლების ფრანგი ფეხბურთელი, 20. „ინტერისა" და საფრანგეთის ნაკრების მცველი, 21. 80-იანი წლების ბრაზილიელი ფეხბურთელი, 22. მიზანი სპორტულ თამაშებში, 24. ახლო წარსულში მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელი, ფორვარდი", 27. ფოთელი საფეხბურთო მწვრთნელი, 29. ჰიდაობის საერთაშორისო ფედერაცია (აბრევიატურა), 30. სპორტკლუბი ჩეხეთში, 31. ... კრამლინგი.

**შვეულად:** 1. ველომრბოლთა სპორტული არენა, 2. სამხრეთაფრიკელი ფეხბურთელი, 3. შეფასება ძიუდოში, 4. სპორტული ლატარეა, 5. სპორტკლუბი, 6. საქართველოს ვეტერანი მოკრივე, 9. „მილანის" მეპატრონე, იმავდროულად პოლიტიკური მოღვაწე, 10. სპორტული იარაღი მხატვრულ ტანვარჯიშში, 14. მინსკის საკალათბურთო გუნდი, 15. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი, რომელიც ევროტურნირში შეხვედრია თბილისის „დინამოს", 18. საჭადრაკო ქალმერთი, 19. ბორჯომის საფეხბურთო კლუბი, 23. ფრანგი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 25. უნგრეთის საფეხბურთო კლუბი, 26. არგენტინელი ფეხბურთელი, მეკარე, 28. სამხრეთაფრიკელი ფეხბურთელი.

## №94 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 1. ოპრია, 4. გქს, 7. პელე, 9. „ტრუა", 10. „ბარი", 12. რინგი, 13. რომარიო, 15. კოპა, 16. ბრიგელი, 17. „ლოძი", 18. „ოლიმპიკი", 22. პსჟ, 26. ილეთი, 27. ბურნაძე, 29. ლი, 32. ილიადი, 34. იონკი, 36. „ულევი", 37. იამანიძე. **შვეულად:** 2. „პორტო", 3. ისა, 4. გრენობლი, 5. ბლანტერი, 6. ნოა, 8. ბიგანიშვილი, 10. ბიკილა, 11. ტრიუმფი, 13. როა, 14. მაილსი, 19. კეტბურთი, 20. ბაგირი, 21. ანანდი, 24. მათნაძე, 25. შტანგა, 28. ძინგა, 30. დიდი, 31. „ჯიქი", 33. ლოუ. 35. უვე.

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი



**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

1. მc6! – 2. ლ:b3+!
1. ...მფ:c6 2. ლ:f7 მფb5 3. ლ:b3+ მფ – 4. ლb7X.
1. ...მფe6 2. ლh3+ მფd5 3. ლb3+ მფe4 4. ლf3X. 3. ...მფc6 4. ლb7X.
1. ...მფc4 2. ლf1+ მფd5 3. ლ:f7+ მფ:e4 4. ლf3X. 3. ...მფ:c6 4. ლb7X.
1. ...მფe6 2. ლh3+ მფd5 3. ლ:b3+!

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" საგამომცემლო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.